# აჭარა

გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№137 (25.017) ხუთშაბათი, 15 - 16 დეკემბერი, 2022 წ. 50 თეთრი


**გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით**



დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 13-18, მაღალ მთაში - 5-10 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 14 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 764 მილიმეტრი.

ხვალ მოსალოდნელია წვიმა, მომდევნო 2 დღეს - უნალექო ამინდი.

## კრიალოსანი N იუსი

ევროპარლამენტმა კენჭი უყარა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების შესრულების შესახებ რეზოლუციას. 608 ევროპარლამენტარიდან, რეზოლუციას მხარი 430-მა დაუჭირა, 52-მა წინააღმდეგ მისცა ხმა, ხოლო 126-მა თავი შეიკავა. ევროპარლამენტმა რეზოლუციას კენჭი შესწორებებით უყარა, საიდანაც ნაწილს მხარი დაუჭირა, ნაწილს კი არა. რეზოლუცია ესტონელი ევროდეპუტატის, ევროპის სოციალისტებისა და დემოკრატების პროგრესული ალიანსის წევრის, საქართველოზე ევროპარლამენტის მომხსენებელის, სვენ მიქსერის ანგარიშის მიხედვით მომზადდა. ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა საქართველოს მიერ ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების შესრულებასთან დაკავშირებულ ანგარიშს კომპრომისული შესწორებებით მხარი 8 ნოემბერს დაუჭირა.

* * *

პარლამენტმა პლენარულ სხდომაზე, 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი და 2022 წლის ბიუჯეტში დაგეგმილი ცვლილებები განიხილა. ორივე ფინანსური დოკუმენტი ფინანსთა მინისტრმა ლაშა ხუციშვილმა წარადგინა. მომავალ წელს მთავრობა თითქმის 22 მილიარდამდე ლარს დახარჯავს. 2023 წლის ბიუჯეტი დაგეგმილია 5%-იან ეკონომიკურ ზრდაზე, ნომინალური მშპ 79 მილიარდ 685 მილიონ ლარს შეადგენს. ბიუჯეტის დეფიციტი 2.8 %-ია.

* * *

პარლამენტმა, პირველი მოსმენით, 84 ხმით (ერთი წინააღმდეგი) მხარი დაუჭირა უმრავლესობის საკანონმდებლო ინიციატივას, რომლის საფუძველზეც, მუნიციპალური ბიუჯეტის დაუმტკიცებლობა საკრებულოსთან ერთად, მერის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას აღარ გამოიწვევს. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ ჯერ კიდევ მოქმედი რედაქციით, თუკი საკრებულო ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებიდან 3 თვეში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს არ დაამტკიცებს, როგორც საკრებულოს, ასევე მერს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება. ცვლილება მერის თანამდებობაზე ასარჩევად დაწესებულ ასაკობრივ ცენზსაც შეეხება და იგი 25 წლით განისაზღვრება.

* * *

სასჯელის გადავადების შესახებ მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესი 22 დეკემბერს გაიმართება. გუშინდელ პროცესზე ექსპრეზიდენტს არც ფიზიკურად და არც დისტანციურად დასწრების შესაძლებლობა არ მიეცა. პროცესზე მის დისტანციურად ჩართვაზე უარი - პენიტენციურმა სამსახურმა, ფიზიკურ დასწრებაზე კი - კლინიკა „ვივამედმა“ თქვა.

მოამზადა
ია შველიძე

# „ოცნების ქალაქის“ პირველი ეტაპის სამშენებლო სამუშაოები მალე დასრულდება

**დარინა ბაბაიძე 27 48 93**

*„ოცნების ქალაქის“ ტერიტორიაზე სამი 12-სართულიანი საცხოვრებელი სახლი აშენდა, სადაც დაახლოებით 582 ბინა მოეწყო. საცხოვრებელ ბინებში უკვე დასრულებულია წყლის, ელექტრო და გაზის სისტემების მოწყობა. მიმდინარეობს შენობის ინტერიერის მოპირკეთების სამუშაოები*



სამუშაო პროცესს აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტკარაძე ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძესთან და აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატ ტიტე აროშიძესთან ერთად გაეცნო.

სამშენებლო სამუშაოების შესახებ ინფორმაცია მინისტრს შპს „დაგის“ წარმომადგენელმა გააცნო. „ოცნების ქალაქის“ პროექტის მეორე ეტაპის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია ბათუმის საკრებულომ უკვე დაამტკიცა.

ქალაქმშენებლობითი დოკუმენტის მიხედვით, „ოცნების ქალაქის“ მშენებლობის პროექტის მეორე ეტაპი განხორციელდება. პროექტის ახალი ეტაპი უკვე მთლიანი ტერიტორიის დაგეგმარებას, სწორ ურბანულ განვითარებას, საცხოვრებელი, საგანმანათლებლო და რეკრეაციული სივრცეების შექმნას გულისხმობს.

„ოცნების ქალაქში“ დამატებით მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, საჯარო სკოლა და საბავშვო ბაღი აშენდება.

მეორე ეტაპის ფარგლებში, ასევე, საპარკინგე ზონა, სპორტული მოედანი, საფეხმავლო და ველობილიკები მოეწყობა. საცხოვრებელი სახლები გაზმომარაგების, წყლისა და წყალარინების სისტემებით აღიჭურვება. პროექტი სრული ტერიტორიის კეთილმოწყობას ითვალისწინებს. მოქალაქეებს ადგილზე სხვადასხვა სერვისებზე წვდომის შესაძლებლობა ექნებათ.

# „ეთნოსოფელი“ – მასშტაბური პროექტი

**დარინა ბაბაიძე 27 48 93**

*მაჭახლის ხეობაში „ეთნოსოფლის“ მასშტაბური პროექტი ხორციელდება, რომლის ფარგლებში, ტერიტორიაზე უკვე დასრულდა თანამედროვე სტანდარტების ვიზიტიორთა ცენტრის მშენებლობა*



„ეთნოსოფლის“ პროექტი რამდენიმე წელზეა გათვლილი და მაჭახლის ხეობაში სხვადასხვა ლოკაციაზე საზოგადოებრივი ცენტრების მშენებლობას, ისტორიული და ეთნოგრაფიული ძეგლების რეაბილიტაციას და სხვა ტურისტულ-ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას მოიცავს.

პროექტის ფარგლებში, დღეისათვის ზედა ჩხუტუნეთში საზოგადოებრივი ცენტრი შენდება. შენობაში საკონფერენციო და საგამოფენო, ასევე ეთნოგრაფიული სივრცე მოეწყობა. ამ ეტაპზე შენობის გადახურვის და რკინა-ბეტონის სამუშაოები მიმდინარეობს.

სამშენებლო პროცესს აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტკარაძე ხელვაჩაურის მერ ზაზა დიასამიძესთან და სივრცითი მოწყობის და ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროს ნუგზარ ძნელაძესთან ერთად გაეცნო.

პროექტის დეტალები მინისტრს კომპანია „მართ ბილდინგ კომპანის“ დირექტორმა გიგა კენჭაძემ გააცნო. „ეთნოსოფლის“ პროექტით მომდევნო წელს ზედა ჩხუტუნეთის ცენტრის და მუზეუმის რეაბილიტაციაა დაგეგმილი.


## რა სურთ დასავლელ ლიდერებს? 3

## რატომ ვერ გამოხატავენ ქალები ერთმანეთის მიმართ სოლიდარობას? 4



## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.



# სამინისტროს მომავალი წლის სიახლეები და პროგრამები გააცნეს

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*აჭარის სამინისტროებისა და სხვა უწყებების ხელმძღვანელები მოსახლეობას მომავალი წლის პროგრამებს აცნობენ*

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე, მინისტრის მოადგილე ედუარდ ნაკაშიძე ამ დღეებში ხულოსა და შუახევში იმყოფებოდნენ. მათ საინტერესო და შინაარსიანი შეხვედრები გამართეს სოფლის ექიმებთან, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მერის წარმომადგენლებთან ადმინისტრაციულ ერთეულებში, საკრებულოების წევრებთან, რომლებსაც გააცნეს სამინისტროს მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი და მასში ასახული პროგრამული სიახლეები. ითქვა, რომ აჭარაში ონკოქირურგია სრულად უფინანსდებათ ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტებს, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამისა და აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს „ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურების“ პროგრამის ფარგლებში. შეხვედრის მონაწილეებმა განსაკუთრებული ინტერესი გამოხატეს იმ პროგრამებისადმი, რომლებიც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიმდინარე წლის 1 ნოემბრიდან, დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფების (DRG) დაფინანსების მექანიზმის ამოქმედებით დაინერგა.

აჭარაში პაციენტებს სამედიცინო მომსახურების თანაგადახდა სრულად უფინანსდებათ. რეგიონის ჯანდაცვის სამინისტრო ონკოპაციენტებს სრულად უფინანსებს (1000 ლარის ღირებულების ფარგლებში) თარგენტული, იმუნოთერაპიული და ბისფოსფონატების ჯგუფის მედიკამენტებს, ასევე, რიგ ლაბორატორიულ კვლევებს. დაფინანსება საქართველოსა და აჭარის ჯანდაცვის სამინისტროების პროგრამების ფარგლებში 2023 წელსაც გაგრძელდება.

მომავალ წელს აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო ონკოპაციენტებისათვის სამედიცინო სერვისებზე მეტი ხელმისაწვდომობის მიზნით, შემდეგ ცვლილებებს გეგმავს: გაიზრდება ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პაციენტების მკურნალობისათვის საჭირო სიმსივნის საწინააღმდეგო თარგენტული, იმუნოთერაპიული (მონოკლონური ანტისხეულების, პროტეინკინაზა ინჰიბიტორების), ბისფოსფონატების ჯგუფის დასაფინანსებელი მედიკამენტების ნუსხა, რომლებიც საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით არ ფინანსდება. ძუძუს აგრესიული HER-2 რეცეპტორდადებითი მეტასტაზური და მაღალი რისკის ადრეული ძუძუს კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში პაციენტებს დაუფინანსდებათ მედიკამენტ „პერტუზუმაბის“ ან „ლაპატინიბის“ მკურნალობის კურსის ღირებულება „ტრასტუზუმაბთან“ („ჰერცეპტინი“) ერთად, „ფესგო“. თითოეულ მიმართვაზე დასაფინანსებელი თანხის ზღვრული რაოდენობა 10 000 ლარამდეა. გაიზრდება მედიკამენტების დაფინანსების წლიური ლიმიტი 25 000 ლარამდე, ასევე გაიზრდება იმ პაციენტების დაფინანსება, რომელთაც ამოეწურებათ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის, ინდივიდუალური და კორპორაციული დაზღვევის შესაბამისი ლიმიტი - 15 000 ლარამდე. ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ ყველა პაციენტს დაუფინანსდება პოზიტრონ-ემისიური კომპიუტრული ტომოგრაფიული (PET/CT) კვლევა სოციალური სტატუსის გათვალისწინებით 90-100 პროცენტით. გაიზრდება ონკოჰემატოლოგიური დაავადების მქონე პაციენტებისათვის ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაციის დასაფინანსებელი თანხა. „ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევის“ პროგრამით, გაიზრდება პაციენტების დაფინანსების პროცენტული წილი და დასაფინანსებელი ბენეფიციარების რაოდენობა.



შეხვედრას ესწრებოდა აჭარის უმაღლესი საბჭოს კომისიის თავმჯდომარე ფრიდონ ფუტკარაძე. შუახევის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე რუსუდან შავაძემ მონაწილეებს მომავალი წლის სოციალური პროგრამები გააცნო. სამინისტროს პროგრამებზე რიგი მოსაზრებები გამოთქვეს ფრიდონ ფუტკარაძემ, ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტების მერებმა ვახტანგ ბერიძემ, ომარ ტაკიძემ, მინისტრის მოადგილე ედუარდ ნაკაშიძემ. მათვე უპასუხეს დამსწრეთა შეკითხვებს.

შეხვედრების დასრულების შემდეგ კომენტარი ნინო ნიჟარაძეს ვთხოვეთ: „ორივე მუნიციპალიტეტში გამართულ შეხვედრებზე აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2023 წლის ბიუჯეტი გავაცანით. 33, 2 მილიონ ლარზე მეტი იქნება საგაისოდ ჩვენი ბიუჯეტი, რაც 4 მილიონი ლარით გაზრდილია. თანხები ყველა მიმართულებითაა მომატებული. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ეკომიგრანტთა საცხოვრისით უზრუნველყოფის პროგრამას ვანიჭებთ. პროგრამაში ბენეფიციართა რაოდენობაც იზრდება. როგორც ითქვა, 1 ნოემბრიდან ჯანდაცვის სისტემაში დაფინანსების ახალ მეთოდზე გადავედით. სრულიად უფასო გახდა პაციენტთა მკურნალობის დაფინანსება კარდიოქირურგიული და ონკოლოგიური მიმართულებით. აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო ინდივიდუალურად განიხილავს ისეთი პაციენტების საჭიროებებს, რომლებიც ცალკეულ პროგრამებში ვერ ხვდებიან და საჭიროების შემთხვევაში ვშუამდგომლობთ აჭარის მთავრობის სარეზერვო ფონდთან. სოციალური მიმართულებით გვაქვს ახალი პროგრამა შშმ პირებთან - გაეწევათ ერთჯერადი დახმარება 2000 ლარით, ვიდრე ბავშვი ერთ წელს მიაღწევდეს. სხვა მიმართულებითაც თანხები მომატებული იქნება ბენეფიციართა რაოდენობის გათვალისწინებით“. ანალოგიური შინაარსის შეხვედრები სხვა მუნიციპალიტეტებშიც გაიმართება.

# მაყურებელი ითხოვს

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

*სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე თამილა დოლიძემ, საბჭოს წევრებმა სოსო სტურუამ, თამარ წილოსანმა, გია ქარცივაძემ შუახევსა და ხულოში საზოგადოების წარმომადგენლებთან შეხვედრები გამართეს და ტელევიზიისა და რადიოს საქმიანობაზე ისაუბრეს*

როგორც მათ აღნიშნეს, მთავარია საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უზრუნველყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის, ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის პოპულარიზაცია.

შუახევში გამართულ შეხვედრაზე ჟურნალისტმა ოთარ ცინარიძემ მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე რუსუდან შავაძემ, მწერალმა ვახტანგ გოგრაჭაძემ, პოეტმა ფრიდონ დავითაძემ, ახალდაბის, შუახევის საჯარო სკოლების დირექტორებმა თემურ დავითაძემ, მზია გოგაძემ, პედაგოგმა ლია ქამადაძემ, საჯარო მოხელე თამარ ხიმშიაშვილმა, შუახევის მერიასთან არსებული მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ვასო ხიმშიაშვილმა შუახევში ტელევიზიის ბიუროს აღდგენა მოითხოვეს. როგორც მათ აღნიშნეს, გარკვეული ცვლილებების შეტანაა საჭირო გადაცემათა ბადეში, ცოტაა ანალიტიკურ-შემეცნებითი, პატრიოტული გადაცემები, ნაკლებად ჩანს ქართული სოფელი და მისი მასულდგმულებელი ფერმერი, ცოტაა გადაცემები მიგრაციის პრობლემებთან დაკავშირებით.

- ორივე მუნიციპალიტეტში გამართულმა შეხვედრებმა დაგვანახა, რომ აჭარის ტელევიზიის გადაცემებს ადგილობრივების სახით, აქტიური მაყურებელი ჰყავს, რაც შეეხება რადიოს, მისი გადაცემების მიღება ჭირს. შუახეველთა მოთხოვნა ბიუროს გახსნასთან დაკავშირებით, სამართლიანია და ეს საკითხი რეაგირებას საჭიროებს, - გვითხრა თამილა დოლიძემ.



# ციფრული მხარდაჭერის პროგრამა – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში

დარინა ბაბაიძე 27 48 93

*ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 30 სამიზნე სოფელში პირველ ეტაპზე, ციფრული მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მიმდინარეობს საინფორმაციო შეხვედრები და სემინარები ინტერნეტის მოხმარების საბაზისო უნარებზე*

პროგრამის მეორე ეტაპზე სემინარები ჩატარდება უშუალოდ იმ თემებზე, რომლებსაც სამიზნე დასახლებების მოსახლეობა დაასახელებს, როგორც მათთვის ყველაზე საინტერესოს და საჭიროს.

ამ საჭიროებების გამოსავლენად, აღნიშნულ დასახლებებში 2023 წლის იანვრიდან განხორციელდება ციფრული საჭიროებების კვლევა.

გუშინ საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ოთხ სოფელში - კირნათში, მარადიდში, აჭარის აღმართსა და ქედქედში, რომლებსაც ესწრებოდნენ სოფლის მოსახლეობა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

„ციფრული მხარდაჭერის პროგრამა“ პროექტის Log-in Georgia შემადგენელი ნაწილია.

პროექტი Log-in Georgia ორი კომპონენტისგან შედგება.

პირველი კომპონენტის მიზანია საქართველოს 1000-მდე დასახლებული პუნქტის ინტერნეტიზაცია და სოფლად მცხოვრები მოსახლეობისათვის მაღალი ხარისხის ინტერნეტის მიწოდების შესაძლებლობის შექმნა, მეორე კომპონენტი მიზნად ისახავს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მიერ ინტერნეტის მაქსიმალური სარგებლიანობით გა-



მოყენებისთვის ციფრული უნარების გაზრდას.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება „ციფრული მხარდაჭერის პროგრამა“, რომელსაც ახორციელებს კომუნიკაციების ეროვნული კომისია პროგრამის კოორდინატორისა და ციფრული ელჩის მეშვეობით.

# გარემოს დაბინძურების პრევენციისთვის

დარინა ბაბაიძე 27 48 93

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ნინო თანდილაშვილმა სამინისტროს მიერ შემუშავებული „სამრეწველო ემისიების შესახებ“ კანონპროექტის შეფასებისას განაცხადა, რომ „წინგადადგმული ნაბიჯია გარემოს დაბინძურების პრევენციისთვის“.

კანონპროექტის თანახმად, 2026 წლიდან ამოქმედდება ახალი ვალდებულებები კერძო სექტორისთვის, მსხვილი საწარმოების გადაიარაღებისა და მათი ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესების ნაწილში.



მისი განმარტებით, „სამრეწველო ემისიების შესახებ“ კანონპროექტში გათვალისწინებული მოთხოვნები და რეგულაციები ევროპასთან ინტეგრაციის პროცესის ნაწილია.

- „კანონპროექტი, რომელიც მთავრობამ მოიწონა და მხარი დაუჭირა, სრულად ეფუძნება ევროპულ დირექტივებს და მოიცავს კერძო სექტორისთვის ისეთი ვალდებულებების დაწესებას, როგორიცაა ჰაერის, წყლის, ნიადაგის დაბინძურების შემცირება, ნარჩენების ისეთი მართვა, რომ გარემოს დაბინძურება მინიმუმამდე შემცირდეს. კანონპროექტი, ფაქტობრივად, მოიცავს გარემოს თითქმის ყველა ფაქტორზე დაბინძურების შემცირება-პრევენციას. საუბარია, დაახლოებით, 200-მდე საწარმოზე, რომლებმაც შესაბამისი ტექნოლოგიური პროცესები უნდა გაიარონ, ეტაპობრივად უნდა დანერგონ საუკეთესო ტექნოლოგიები, გადაიარაღდნენ და თანამედროვე სტანდარტებს შეესაბამებოდნენ, რათა მათი მხრიდან მინიმუმამდე შემცირდეს გარემოს დაბინძურება“.

მინისტრის მოადგილის განმარტებით, კანონი საკმაოდ რთულად შესასრულებელია, რის გამოც, სამინისტროს ბიზნესსექტორთან ხშირი კომუნიკაცია ჰქონდა.

- „გვქონდა მოლაპარაკებები ევროკავშირთან, რომელიც ამ მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელებაში ჩვენი მთავარი პარტნიორია. შედეგად, ევროკავშირი საქართველოში კონკრეტულ კომპანიებს ჩაუტარებს გარემოსდაცვით აუდიტს - გამოავლენს როგორია მდგომარეობა საწარმოში, რა სჭირდება საწარმოო პროცესის გასაუმჯობესებლად, ამისთვის რა ნაბიჯები უნდა გადადგას და რა ინვესტიციები უნდა განახორციელოს. ამ ეტაპზე საუბარია 6-მდე საწარმოზე, თუმცა ვმუშაობთ, რომ ეს რიცხვი გაიზარდოს“.

იხ. მე-5 გვ.

# რა სურთ დასავლელ ლიდერებს?

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

„პატიოსნება და ზნეობა ძნელად უთავსდება თანამედროვე პოლიტიკას, თუმცა მათი შეთავსება შეუძლებელი როდია, ყველაფერი პიროვნებაზეა დამოკიდებული. სწორედ როლანდ რეიგანმა დაამტკიცა, რომ პოლიტიკოსს ძალუძს, შეუთავსოს ზნეობა და ღირსება თავის საქმიანობას“, - ეს სიტყვები საქართველოს პირველ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეკუთვნის, რომელიც რუსეთის იმპერიასთან ბრძოლას შეეწირა. ანალოგიურად თავგანწირვით ებრძოდა რუსეთს ჩეჩნეთის ლეგენდარული პრეზიდენტი ჯოხარ დუდაევი. ისიც, გარკვეულწილად, მიატოვა დასავლეთმა და ამით კრემლს სხვადასხვა დესტრუქციული ქმედების განხორციელებისთვის მწვანე შუქი აუნთო, რამაც, სხვათა შორის, მსოფლიო, პრაქტიკულად, მესამე მსოფლიო ომის ზღვარზე დააყენა. რა თქმა უნდა, სამყარო ისე არ გადაგვარებულა, რომ ზნეობრივი, სამართლიანი მმართველის ნაკლებობას განიცდიდეს, თუმცა ამ მხრივ, სამწუხაროდ, ამჟამად არც ისე ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება. სწორედ პრინციპული და სამართლიანი ლიდერების არარსებობამ გაათამამა... გააბედინა კრემლს უკრაინაში არა მარტო ფართომასშტაბიანი ომი, არამედ უკრაინელთა გენოციდის მოწყობა. ბუჩას, მარიუპოლის ტრაგედია ამის თვალსაჩინო მაგალითია. უკრაინაში გაჩაღებულმა ომმა თვალნათლივ დაგვანახა დასავლელი ლიდერების შესაძლებლობები. ვიდრე ამის შესახებ ვისაუბრებდეთ, მანამდე მკაფიოდ უნდა გავუსვათ ხაზი, რომ 24 თებერვლამდე მსოფლიო ლიდერები სათანადოდ ვერ, ან არ ამჩნევდნენ უმსგავსობას, არ რეაგირებდნენ უკრაინის, საქართველოს, მოლდოვის სუვერენიტეტის დარღვევებზე, რუსეთთან მიმართებით ლოიალობას იჩენდნენ. გამონაკლისი ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთია, რომლებიც გარკვეულწილად, ყოველთვის ცდილობდნენ რუსეთის ჰეგემონიის შეკავებას მსოფლიოში. სწორედ ამ ქვეყნების ლიდერების ქმედითუნარიანობამ უზრუნველყო მსოფლიოს მხარდაჭერა უკრაინისადმი. ამ მხრივ პირველობას ვერავინ შეეცილება დიდი ბრიტანეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბორის ჯონსონს. როგორც ცნობილია, ბატონი ჯონსონი პირველთაგანი იყო, რომელიც კიევს ომის პირველ თვეებში ეწვია და უკრაინის ხელისუფლებას და მოსახლეობას მკაფიო მხარდაჭერა გამოუცხადა. კარგად გვახსოვს, როგორ დადიოდა იგი კიევის ქუჩებში, უკრაინელებს როგორ ამხნევებდა, მაგალითი მისცა დასავლეთის დანარჩენ ლიდერებს, რომ სწვეოდნენ უკრაინას. ისიც უნდა ითქვას, რომ დიდი ბრიტანეთის ყოფილი ლიდერის ძალისხმევით, უკრაინამ მნიშვნელოვანი სამხედრო დახმარება მიიღო. ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია ომის მსვლელობისას. ამავე დროს ჯონსონი საქვეყნოდ ამხელდა პუტინის რეჟიმს. დიდი ბრიტანეთი პირველი ქვეყანა იყო, სადაც რუს ოლიგარქებს ფინანსები დაუბლოკეს და ასევე, რუსეთს მკაცრი ეკონომიკური სანქციები დაუწესეს. მიუხედავად იმისა, რომ ბორის ჯონსონმა თანამდებობა დატოვა, დიდი ბრიტანეთი კვლავ უკრაინის მხარდამჭერია.

უკრაინა ღმერთს უნდა უმადლოდეს, რომ აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენია და არა - ტრამპი. სწორედ აშშ-ის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა და ამ სახელმწიფოს სპეცსამსახურებმა ზედმიწევნით მიაწოდეს უკრაინის ხელისუფლებას რუსეთის საომარი კამპანიის გეგმები. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აშშ კიევის სამ დღეში დაცემას ვარაუდობდა. უკრაინელთა თავგანწირვამ და ხელისუფლების პრინციპულობამ აშშ უკრაინის მხარდაჭერის აუცილებლობაში კიდევ ერთხელ დაარწმუნა. საგულისხმოა, რომ ჯო ბაიდენმა პუტინს ომის დამნაშავე უწოდა და ისიც დასძინა, რომ ყველაფერს გააკეთებს უკრაინის გასამარჯვებლად. ამ მხრივ აშშ-მა და დიდმა ბრიტანეთმა უზრუნველყვეს უკრაინის სამხედრო შეიარაღების მომარაგება, სწორედ აშშ-ის თანამედროვე იარაღით უმკლავდება უკრაინა რუსეთს.

თუ დასავლელ სამხედრო ექსპერტებს ვენდობით, უკრაინა ამ ზამთარში მძლავრ კონტრშეტევაზე გადავა და დაიბრუნებს ოკუპირებული ტერიტორიების მნიშვნელოვან ნაწილს. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ აშშ-ის პრეზიდენტის ძალისხმევით, რუსეთს ჯოჯოხეთური სანქციები დაუწესდა, რაც შედეგს უკვე იძლევა, ანუ რუსეთის შემოტევები უკრაინაში ისეთი ინტენსიური არ არის, როგორც ომის დასაწყისში იყო, თუ არ ჩავთვლით დონეცკის და ლუგანსკის რეგიონებს. გარდა ამისა, სწორედ ჯო ბაიდენის ძალისხმევით, პუტინი საგარეო კუთხით იზოლაციაში მოექცა. მხოლოდ ირანის და ბელორუსის ლიდერებს ხვდება დროდადრო და ტელეფონით ესაუბრება საფრანგეთის ლიდერს. როგორც ჩანს, დასავლელ ლიდერებს ეთაკილებათ პუტინთან შეხვედრა და ეს არცაა გასაკვირი. იმ ადამიანთან შეხვედრა, რომელმაც, პრაქტიკულად, მესამე მსოფლიო ომი წამოიწყო და ათიათასობით ადამიანის სიცოცხლე არაფრად ჩააგდო, სამარცხვინო იქნებოდა, მით უმეტეს - გლობალურ საკითხებზე საუბარი. ამერიკის შეერთებული შტატების და დიდი ბრიტანეთისგან განსხვავებით, ევროკავშირის სახელმწიფოები, ძირითადად, გერმანია და საფრანგეთი, ასე ვთქვათ, თვალს ხუჭავენ რუსეთის დესტრუქციულ ქმედებებზე პოსტსაბჭოთა სივრცეში, სწორედ ისინი ითვალისწინებდნენ კრემლის ინტერესებს ნატოს არგაფართოებასთან დაკავშირებით და ა. შ. ამის ნათელი მაგალითია ამასწინანდელი ინტერვიუ, რომელშიც საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმა (მიუხედავად იმისა, რომ გააკრიტიკა რუსეთი) მოგვიწოდა, რომ პუტინი არ დავამციროთ, ანუ სახე შევუნარჩუნოთ გლობალურ პოლიტიკაში. არადა, საპრეზიდენტო კამპანიის დროს მაკრონი არწმუნებდა დასავლელ ლიდერებს, რომ რუსეთი სახიფათო ქვეყანაა, რომელიც უნდა დაემორჩილოს საერთაშორისო ნორმებს... მაგრამ პოლიტიკაში ინტერესებია მთავარი და გლობალური აქტორები მიზნის მისაღწევად გარიგებაზე მიდიან. ამის მაგალითია თუნდაც საქართველოს 1991-92 წლების მოვლენები და 2008 წლის რუსეთის აგრესია საქართველოს მიმართ. ერთ შემთხვევაში დასავლეთმა თვალი დახუჭა საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობაზე და მეორეში - ბუქარესტის ნატოს სამიტზე, როცა ჩვენს ქვეყანას არ მიენიჭა მაპი, რაც საბაბი გახდა რუსეთის საქართველოში ინტერვენციისა. დიახ, საფრანგეთმა და გერმანიამ დაბლოკეს საქართველოს ნატოსთან დაახლოება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ გერმანიის ყოფილი (მერკელი და შროიდერი) კანცლერების ლოიალობის წყალობით შეძლო კრემლმა ევროპაში პოზიციების გამყარება, რასაც ასევე ხელი შეუწყო ნატოს აღმოსავლეთით არგაფართოებამაც, რომ არაფერი ვთქვათ, რუსულ გაზზე ენერგოდამოკიდებულებაზე. სხვათა შორის, გერმანიის ყოფილი კანცლერი შროიდერი „გაზპრომის“ ერთ-ერთი მაღალჩინოსანი იყო, რაც, გარკვეულწილად, გერმანიისა და რუსეთის ინტერესების თანხვედრას ცხადყოფდა. ალბათ ამის შემყურე ფრიდრიხ II დიდი საფლავში გადაბრუნდებოდა. ცალკე აღსანიშნავია პოლონეთი და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ლიდერები, სწორედ ისინი ეხმარებიან უკრაინას სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაში. პოლონეთის მკაფიო მხარდაჭერა და თანადგომა რომ არა უკრაინისადმი, ამ უკანასკნელს გაუძნელდებოდა რუსეთის შეკავება. პოლონეთის ლიდერი ანჟეი დუდა ყველა საერთაშორისო არენაზე გმობს რუსეთს და მოუწოდებს მსოფლიოს, ყოველმხრივ დაეხმარონ უკრაინას. ეს მნიშვნელოვანია. არადა, იყო დრო, როცა უკრაინა და პოლონეთი ურთიერთდაპირისპირებული იყვნენ და არაერთი ომი აწარმოეს ერთმანეთის წინააღმდეგ. ახლა ისინი მეგობრობის საუკეთესო მაგალითს გვაჩვენებენ. მკითხველმა შეიძლება იკითხოს, იქნებ დროთა განმავლობაში რუსეთიც გაკეთილშობილდეს? სამწუხაროდ, პუტინისგან დიდად განსხვავებული რუსი მმართველი რუსეთის ხელისუფლებაში არ მოვა, რადგან ამ ქვეყანაში სიყრმიდანვე მოსდგამთ იმპერიული სულისკვეთება. ამ ბაცილის განკურნება არც ისე ადვილია. ჯერ კიდევ ივანე მრისხანის მმართველობის დროს დაიწყო კრემლმა ექსპანსიური პოლიტიკის გატარება სამეზობლოში. ვინ დათვლის, რამდენიმე უბედურება დაატეხა თავს სხვადასხვა ქვეყანას - ზოგი მოსპო, ზოგი დაიპყრო, ზოგის კი ასიმილაცია მოახდინა და ასე გრძელდება დღემდე, თუმცა ისიც ფაქტია, რომ რუსეთი ყოველთვის მასზე სუსტ სახელმწიფოს ესხმის თავს, თანატოლ ქვეყანას ამას ვერ უბედავს. ისტორია ამის თვალსაჩინო მაგალითია. ამჟამად რუსეთის სამიზნე უკრაინაა. როგორც ჩანს, რუსეთს უკრაინის იოლი დამარცხების იმედი ჰქონდა, მაგრამ დღევანდელი უკრაინა განსხვავდება ადრინდელისგან. ამ ქვეყანამ არა მარტო შეინარჩუნა სახელმწიფოებრიობა, არამედ თავგანწირვის მაგალითს აძლევს თანამედროვე მსოფლიოს. დღეს უკრაინა იბრძვის არა მხოლოდ მისი მომავლისთვის, არამედ მთელი მსოფლიოს უსაფრთხოებისთვისაც. აკი თქვა ჯო ბაიდენმა, რომ „უკრაინის გამარჯვება ამ ომში, იქნება სიკეთის გამარჯვება ბოროტებაზე“, რაც დასავლეთმა კარგად გააცნობიერა.



*„როგორც ჩანს, დასავლელ ლიდერებს ეთაკილებათ პუტინთან შეხვედრა და ეს არცაა გასაკვირი. იმ ადამიანთან შეხვედრა, რომელმაც, პრაქტიკულად, მესამე მსოფლიო ომი წამოიწყო და ათიათასობით ადამიანის სიცოცხლე არაფრად ჩააგდო, სამარცხვინო იქნებოდა, მით უმეტეს - გლობალურ საკითხებზე საუბარი. ამერიკის შეერთებული შტატების და დიდი ბრიტანეთისგან განსხვავებით, ევროკავშირის სახელმწიფოები, ძირითადად, გერმანია და საფრანგეთი, ასე ვთქვათ, თვალს ხუჭავენ რუსეთის დესტრუქციულ ქმედებებზე პოსტსაბჭოთა სივრცეში*

## საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით...



მომავალი წლის ბიუჯეტის საბოლოო ვერსიაში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსება, პროექტის წინა ვარიანტთან შედარებით, 52,2 მილიონი ლარით იზრდება და 2 მილიარდ 30 მილიონ ლარს აჭარბებს.

სამინისტროსთვის დამატებული თანხიდან: 30 მილიონი ლარი გათვალისწინებულია საჯარო სკოლების დაფინანსებისთვის; 32 მილიონი ლარი მიიმართება სკოლებში კომპიუტერული ლაბორატორიების მოწყობისთვის. 2023-2024 წლებში ამ მიმართულებით დაგეგმილია 700-ზე მეტი სკოლის აღჭურვა; 2 მილიონი ლარი გათვალისწინებულია მანდატურის სამსახურისთვის, ხოლო ინკლუზიური განათლების დაფინანსება 3,0 მლნ ლარით იზრდება. ამასთან, განხორციელებული ტენდერის შედეგად, 16,5 მლნ ლარის ეკონომია წარმოიქმნა პირველკლასელთა კომპიუტერების შესყიდვაში, საიდანაც 1,7 მლნ ლარის განაწილება ხორციელდება სხვადასხვა პროგრამების დამატებით დაფინანსებაზე.

**ამირან გურიელიძე**

## უცხოეთი

ევროკავშირის ქვეყნები ბოსნია და ჰერცეგოვინისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე შეთანხმდნენ. ამის შესახებ ევროკავშირის საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაშია ნათქვამი. გადაწყვეტილების ფორმალიზება ხუთშაბათს ბრიუსელში ევროპული საბჭოს ლიდერების სამიტზეა მოსალოდნელი. „განსაკუთრებით მოხარული ვარ ბოსნია და ჰერცეგოვინისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაციით და ასეთ რთულ პერიოდში უკრაინის რეფორმების ძალისხმევის აღიარებით“, - განაცხადა ჩეხეთის ევროპული საქმეების მინისტრმა მიკულაშ ბეკმა, რომლის ქვეყანაც ამ მომენტისთვის ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტობას იკავებს. ევროკავშირში წევრობის განაცხადი ბოსნია და ჰერცეგოვინამ 2016 წელს გააკეთა.

* * *

ევროკავშირის შინაგან საქმეთა კომისარი ილვა იოჰანსონი ევროპარლამენტში კორუფციულ სკანდალს გამოეხმაურა. „გასულ პარასკევს ანტიკორუფციის საერთაშორისო დღე იყო და ამ დღეს აღმოჩნდა, რომ ბელგიის მართლმსაჯულება 17 მისამართზე ჩხრეკას ატარებდა, საუბარია კორუფციაზე და ფულის გათეთრებაზე. ბოლომდე არ ვიცით, რა გამოიკვეთება და რამდენად ფართოა ეს ქსელი, მაგრამ, პირველ რიგში, უნდა განვაცხადოთ, რომ კორუფციის მიმართ ევროპარლამენტს ექნება ნულოვანი ტოლერანტობა“, - განაცხადა ევროკომისარმა. 10 დეკემბერს ცნობილი გახდა, რომ ბერძენი ევროდეპუტატი და ევროპარლამენტის ვიცე-სპიკერი ევა კაილი ბელგიის პოლიციამ დააკავა. ის ფიგურირებს ანტიკორუფციულ გამოძიებაში, რომელიც კატარის სასარგებლოდ უკანონო ლობისტურ საქმიანობას ეხება. ევა კაილის მანდატი შეუჩერდა.

* * *

კრემლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა დიმიტრი პესკოვმა განაცხადა, რომ უკრაინამ ახალი ტერიტორიული „რეალობა“ უნდა მიიღოს. 12 დეკემბერს, უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა, რომ რუსეთს შეუძლია უკრაინის ტერიტორიიდან ჯარების გაყვანა საშობაოდ დაიწყოს და ამით აგრესიაზე უარის თქმის უნარი გამოავლინოს. „უკრაინულმა მხარემ უნდა გაითვალისწინოს ის რეალობა, რაც ამ ხნის განმავლობაში განვითარდა. ეს რეალობა მიუთითებს იმაზე, რომ რუსეთის შემადგენლობაში ახალი სუბიექტები გაჩნდა და ეს ამ ტერიტორიებზე ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად მოხდა,“ - აღნიშნა დიმიტრი პესკოვმა.

* * *

აშშ-ის პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა ხელი მოაწერა კანონს, რომელიც ერთნაირსქესიანთა ქორწინებას იცავს. ცერემონია თეთრ სახლში გაიმართა და მას ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტი კამალა ჰარისი, სენატსა და წარმომადგენელთა პალატაში დემოკრატების ლიდერები და ლგბტ-საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ამ კანონის მიღებით გაუქმდება 1996 წლის კანონი, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად უარყოფს ფედერალურ შეღავათებს ერთნაირსქესიანთა წყვილებისთვის. კანონი აშშ-ის ფედერალურ მთავრობასა და შტატებს საშუალებას მისცემს აღიაროს ერთნაირსქესიანთა და რასებსშორისი ქორწინება, რომლებიც იმ შტატებში გაფორმდა, სადაც ეს ლეგალურია.

**მოამზადა ია შველიძემ**

# რატომ ვერ გამოხატავენ ქალები ერთმანეთის მიმართ სოლიდარობას?

ფიქრია დავლაძე 579 25 25 72

*გენდერული ნიშნით მოტივირებული სასტიკი დანაშაული - ფემიციდი, რომელსაც უმეტესად წინ უძღვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობის ფორმები, მოძალადის მხრიდან მიმართულია ქალის საკუთარ ნებაზე დამორჩილებისკენ*

ფემიციდის მსხვერპლთა რაოდენობა საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიშის მიხედვით, ასე გამოიყურება: 2021 წელს საქართველოში მოკლეს 22 ქალი, 2020 წელს - 24, 2019 წელს - 19. ქალის მკვლელობის მცდელობის სტატისტიკა ასეთია: 2021 წელს - 31 შემთხვევა, 2020 წელს - 27, 2019 წელს - 22, შემხვევების უმეტეს ნაწილს, ძირითადად, წინ უძღოდა ურთიერთშელაპარაკება, რომელსაც ჰყავდა თვითმხილველი, ან ზოგ შემთხვევაში, თანამზრახველიც. მანამ, სანამ ძალადობის ფაქტი მოხდება, სანამ მოძალადე მკვლელობას ჩაიდენს, რატომ დუმან ირგვლივმყოფნი, რატომ არ ხდება რეაგირება?! ფემიციდის წინააღმდეგ არაერთი საპროტესტო აქციის მიუხედავად, ქალთა მიმართ ძალადობის სერია გრძელდება. გამოკითხულთა უმეტესი ნაწილი ამბობს, რომ, ძირითადად, ქალები არ არიან ერთმანეთის მიმართ სოლიდარულები. რატომ არ რეაგირებენ დანაშაულზე, რატომ იკავებენ თავს, გაზეთ „აჭარას“ ქალზე ძალადობის შემთხვევების ერთ-ერთმა თვითმხილველმა იმ ოჯახის შესახებ მოუთხრო, სადაც ყოველდღიურად ხორციელდებოდა ასეთი ფაქტი. სამი მცირეწლოვანი შვილი დედასთან ერთად ითხოვდა შველას საღამოობით, როცა მამა სახლში ნასვამი ბრუნდებოდა. ისტორია ასეთია: - ოჯახი ბათუმში 6 წელია რეგიონიდან გადმოსახლდა. ამ დროის განმავლობაში თითქმის ყოველღამე ისმოდა ქალის განწირული ხმა - „არ დამარტყა“, ატირებული ბავშვები ალბათ დედას ეფარებოდნენ. როგორც შემდეგ ითქვა, დედას სწორედ იმ მომენტში გადაფარებიან მისი მცირეწლოვანი ბიჭები, როდესაც მამა უმწეო, ნაცემ ქალს ცივი იარაღით ემუქრებოდა. ბავშვები მზად იყვნენ, დედის გადასარჩენად თავიც კი გაეწირათ. ერთ-ერთი ძალადობის დროს მეზობლის გოგომ პოლიციას გამოუძახა. ფაქტობრივად, ამ ადამიანმა ქალის და ბავშვების სიცოცხლე სიკვდილისგან იხსნა. პოლიციას ქალი ნაცემი დახვდა, მაგრამ იგი უარყოფდა ძალადობის ფაქტს. კაციც მშვიდად ესაუბრებოდა პოლიციას იმაზე, თუ როგორი ჰარმონიული ოჯახი აქვთ და მსგავსი ძალადობა მათგან შორსაა. ატირებული ბავშვები, ქალის სახეზე ძალადობის კვალი რომ არა, ალბათ დანაშაული კიდევ დიდხანს იქნებოდა დაფარული ძალოვანი სტრუქტურისთვის. ბავშვებმა აღიარეს, რომ მამა დედას ბევრჯერ სიცოცხლის მოსპობით დამუქრებია, პოლიციას ისინი მშობლის პასუხისგებაში მიცემას სთხოვდნენ. მოძალადე აგონიაში ჩავარდა, მაგრამ პირველ რიგში, ცდილობდა, დაედგინა, ვინ „ჩაუშვა“, ვინ „გაბედა“ დაერეკა სამართალდამცველებთან. საქმე სასამართლომდე მივიდა, მაგრამ გარკვეული თანხის სანაცვლოდ გამოუშვეს ციხიდან, ოღონდ იმ პირობით, რომ ცოლთან განქორწინდებოდა და ახლოს არ გაეკარებოდა, თუმცა მან პირობა არ შეასრულა. მოძალადის ბუნება ასეთია, ყველაფერს აკეთებს თავისი დანაშაულის კვალის დასაფარად. მან ქალი გამოიყვანა დამნაშავედ, რომელსაც წასასვლელი არსად ჰქონდა - მშობლებმაც მოძალადესთან დარჩენა ურჩიეს. ისინი ისევ ერთად ცხოვრობენ. რამდენჯერმე გადაამოწმა პოლიციამ, თუმცა მამაკაცი დაიმალა, რათა სიცრუეში არ ემხილათ. ბოლოს ცოლი აიძულა ეთქვა, რომ რაც ილაპარაკა სასამართლოზე, ყველაფერი გაზვიადებული იყო და მეზობელმაც, რომლებმაც პოლიციაში დარეკა, გაამუქა სიტუაცია. დღემდე გოგონას (მეზობელს) პოლიცია მუდმივად განყოფილებაში იბარებს დეტალების დასადგენად. არადა, ამ საბრალომ სიმართლე თქვა, მაგრამ სახლში პრობლემები შეექმნა, ოჯახმაც უსაყვედურა, რატომ ერეოდა სხვის ცხოვრებაში, დაეხოცათ ერთმანეთი, მას ხომ არ ეხებოდნენ?! აი, ასეთ მიდგომაა საქართველოში. თავად კი გამოდგა ყოჩაღი, მაგრამ აღნიშნული ძალადობის მსხვერპლი ქალი თავისი თავის, შვილების, სიცოცხლისა და სიმშვიდის დაცვაში - ძალიან სუსტი. ამიტომ იგუბებენ ქალები პირში წყალს და ჩუმდებიან, ვაითუ, სიმართლის თქმა ძვირად დაუჯდეთ, სხვისი სიცოცხლის გადარჩენის სანაცვლოდ საკუთარით აგებინონ პასუხი.



**,, *თითქმის ყოველღამე ისმოდა ქალის განწირული ხმა - „არ დამარტყა“, ატირებული ბავშვები ალბათ დედას ეფარებოდნენ. როგორც შემდეგ ითქვა, დედას სწორედ იმ მომენტში გადაფარებიან მისი მცირეწლოვანი ბიჭები, როდესაც მამა უმწეო, ნაცემ ქალს ცივი იარაღით ემუქრებოდა***

## უკრაინა

კიევის მერის ვიტალი კლიჩკოს განცხადებით, უკრაინის დედაქალაქის ცენტრში, შევჩენკოვსკის რაიონში, აფეთქებები იყო. „ტელეგრამის“ საკუთარ არხზე კლიჩკომ დაწერა, რომ შესაბამისი სამსახურები შემთხვევის ადგილზე იმყოფებიან, დეტალებზე კი მოგვიანებით ისაუბრებს. ამასთან, კიევის რეგიონის გუბერნატორმა ოლექსი კულებამ განაცხადა, რომ საჰაერო თავდაცვის სისტემები გააქტიურდა. უკრაინაში დიდი ბრიტანეთის ელჩმა მელინდა სიმონსმა კი აღნიშნა, რომ ის „ფანჯრებისგან მოშორებით იმყოფებოდა და გარეთ აფეთქებების ხმა გაიგონა“.

* * *

კიევის საქალაქო ადმინისტრაციის განცხადებით, უკრაინის საჰაერო თავდაცვის ძალებმა ირანული წარმოების 13 დრონი ჩამოაგდეს. კიევზე რუსეთის მიერ მიტანილი იერიშების შემდეგ, კიევის რეგიონის გუბერნატორმა ოლექსი კულებამ განაცხადა, რომ რუსეთი უკრაინის წინააღმდეგ „ენერგეტიკულ ტერორს“ აგრძელებს. მან მოსახლეობას თავშესაფრებში დარჩენისკენ მოუწოდა. ამასთან, მედიის ცნობით, დრონის ნამსხვრევებით შევჩენკოვსკის რაიონში მდებარე ორი ადმინისტრაციული შენობა დაზიანდა.

* * *

რუსი სამხედროების მიერ ჩადენილი ომის დანაშაულების სასამართლო პროცესის გამართვისთვის 90 უკრაინელ მოსამართლეს დიდი ბრიტანეთი გადაამზადებს. მედიის ცნობით, გასულ კვირას, მოსამართლეთა პირველი ჯგუფი სესიებს გასაიდუმლოებულ ლოკაციაზე დაესწრო, მომავალ თვეებში კი სხვა მოსამართლეებიც გაივლიან აღნიშნულ გადამზადებას. როგორც მედია წერს, ომის დანაშაულების სასამართლო პროცესების უმრავლესობას, სავარაუდოდ, უკრაინელი მოსამართლეები ჩაატარებენ. ამ დროისთვის 14 რუსი ჯარისკაცია გასამართლებული.

* * *

უკრაინამ საფრანგეთში ხელი მოაწერა ოთხ შეთანხმებას საერთაშორისო პარტნიორებთან, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა დენის შმიჰალმა. შეთანხმება EBRD-თან - 300 მილიონი ევროს ოდენობის სესხის აღება უკრენერგოსთვის ელექტროგადამცემი ქსელების აღსადგენად. შეთანხმება საფრანგეთთან - უკრაინის ეროვნული რკინიგზისთვის ლიანდაგების მიწოდება 37,6 მილიონ ევროდ. გრძელვადიანი შეთანხმება უკრაინისა და საფრანგეთის მთავრობებს შორის - უკრაინის ციფრული მხარდაჭერის პროგრამის დაწყებასთან დაკავშირებით. მემორანდუმი უკრავტოდორისთვის (უკრაინის საავტომობილო გზების სახელმწიფო სააგენტო) - ხიდების მიწოდების შესახებ, დაახლოებით 25 მილიონი ევროს ოდენობით. გარდა ამისა, საფრანგეთმა EBR-თან უკრაინისთვის კიდევ 100 მილიონი ევროს გამოყოფის შესახებ ორმხრივი შეთანხმება დადო.

* * *

გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი თვლის, რომ უკრაინის გარდაქმნა მდგრადი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მქონე ევროპულ სახელმწიფოდ ძლიერი ევროპის წინაპირობაა. „როგორც ახლა, ჩვენს პარტნიორებთან და მოკავშირეებთან ერთად, მასიურად ვუჭერთ მხარს უკრაინის ბრძოლას თავისუფლებისთვის, ასევე მხარს დავუჭერთ უკრაინის აღდგენის მცდელობებს მრავალი წლის განმავლობაში“, - განაცხადა შოლცმა.

* * *

უკრაინელი სამხედროების ჯგუფი გერმანიის ტერიტორიაზე, ბავარიის ოლქში, ქალაქ გრაფენვერის სამხედრო სასწავლო ცენტრში უკვე ასრულებს სასწავლო კურსს MIM-104 PATRIOT-ის ტიპის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემსთან დაკავშირებით. გავლენიანი ამერიკული გამოცემა ASSOCIATED PRESS-ი პენტაგონის მაღალჩინოსნებზე დაყრდნობით ავრცელებს ინფორმაციას, რომ შეერთებული შტატები უკრაინას უახლოეს მომავალში გადასცემს PATRIOT-ის ტიპის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის 1 ბატარეას (საუბარია მართვის პუნქტზე, რადიოლოკაციურ სადგურსა და 8 გამშვებ დანადგარზე, რომლის ფონზეც თითოეული გამშვები სისტემა აღჭურვილი იქნება ან 4 PAC-2-ის, ან 16 ერთეული მსუბუქი PAC-3-ის ტიპის ანტირაკეტებით. უკრაინის უშიშროების გენერალური მდივანი, ოლექსი დანილოვიც აღნიშნულ ფაქტთან მიმართებით TWITTER-ის საკუთარ ოფიციალურ გვერდზე მიანიშნებს. Patriot-ი შორსმოქმედი ამერიკული საჰაერო თავდაცვის კომპლექსია, რომელიც 1982 წელს შევიდა აშშ-ს შეიარაღებული ძალების აქტიურ სერვისში.

* * *

შეერთებულმა შტატებმა უკრაინას დახმარების სახით ელექტრომოწყობილობების პირველი პარტია გაუგზავნა, - ინფორმაციას Reuters-ი ავრცელებს. სააგენტო ამერიკელ ოფიციალურ პირებზე დაყრდნობით იუწყება, რომ დახმარების პირველი ტრანში წარმოადგენდა ელექტროაღჭურვილობას, რომლის ღირებულება დაახლოებით, 13 მილიონი აშშ დოლარია. მათივე ცნობით, მიმდინარე კვირაში შეერთებული შტატებიდან აღჭურვილობით დატვირთული კიდევ ორი თვითმფრინავი გაემგზავრება. შეგახსენებთ, რუსეთი უკრაინის ელექტროენერგიისა და გათბობის ინფრასტრუქტურაზე ოქტომბრიდან ფართომასშტაბიან თავდასხმებს ახორციელებს, რასაც კიევი და მისი მოკავშირეები მშვიდობიანი მოსახლეობის დაზარალების მიზნით დაწყებულ მიზანმიმართულ კამპანიად აფასებენ.

# ერთობლივი გამშვები პუნქტი საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის

დარინა ბაბაიძე 27 48 93

***საქართველოს ფინანსთა მინისტრი ლაშა ხუციშვილი საქართველოში აზიის განვითარების ბანკის წარმომადგენლობის დირექტორს, შეინ როზენტალს შეხვდა***

შეხვედრას ასევე დაესწრნენ საქართველოში აზიის განვითარების ბანკის მუდმივი წარმომადგენლობის დირექტორის მოადგილე კამელ ბუმადი, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსი ლევან კაკავა, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი სამსონ ურიდია, აზიის განვითარების ბანკის კონსულტანტი რადომირ ჯურიჩი და ტრანსპორტის საკითხებში უფროსი სპეციალისტი ზაიღამ ნაქვი.

მხარეებმა განიხილეს „საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის მთავრობას შორის, საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარზე გამტარი პუნქტების შესახებ“ შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს ერთობლივი სასაზღვრო გამტარი პუნქტის მშენებლობას, რაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს რეგიონულ ვაჭრობასა და ტრანზიტის განვითარებაში.

აღსანიშნავია, რომ აზიის განვითარების ბანკის წინასწარი მისია აფასებს ერთობლივი გამშვები პუნქტის მშენებლობის ფინანსური მხარდაჭერის შესაძლებლობებს (როგორც ცნობილია, საქართველო და აზერბაიჯანი აზიის განვითარების ბანკის წევრი სახელმწიფოებია).



როგორც საქართველოში აზიის განვითარების ბანკის დირექტორმა აღნიშნა, სასაზღვრო გამტარი პუნქტების ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება აზიის განვითარების ბანკის მიერ უკვე მხარდაჭერილი მსხვილი საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტების ლოგიკური გაგრძელებაა. მისი თქმით, ერთობლივი გამშვები პუნქტი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოსა და აზერბაიჯანის ტრანზიტული პოტენციალის რეალიზებას და ქვეყნის ტრანზიტულ ჰაბად ჩამოყალიბებას.

თავის მხრივ, ფინანსთა მინისტრმა ხაზი გაუსვა აზიის განვითარების ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტების მნიშვნელობას, როგორც ქვეყნის, ისე რეგიონული განვითარების მიმართულებით.

# მეცნიერი – მწერლის ამპლუაში

ნოდარ ბასილაძეს საზოგადოების წინაშე წარდგენა არ სჭირდება. მას მკითხველი კარგად იცნობს როგორც ღვაწლმოსილ მეცნიერს, პროფესორსა და პედაგოგიკის თეორეტიკოსს, მაგრამ ბევრმა არ იცის, ალბათ, რომ იგი მწერალიცაა. არის საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი და პროზაული ნაწარმოებების რუსული და გერმანული ენებიდან მთარგმნელი, ზოგჯერ კი, მოცალეობის ჟამს, ლექსებსაც წერს. არის ლექსების კრებულის „გულის კარნახით“ ავტორი, ახლახან კი იგი საზოგადოების წინაშე წარსდგა მცირე მოთხრობების, ნოველების კრებულით „ერთი ნახვით შეყვარება“, რომელშიც 14 ნოველაა შესული. ყოველი მათგანი ასახავს ჩვენს თანამედროვე ცხოვრებას და გვიჩვენებს ავტორის დამოკიდებულებას ამა თუ იმ საკითხისადმი.




ნოდარ ბასილაძის მხატვრული ლიტერატურით გატაცება ახალი არ არის. გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან მოყოლებული დღევანდლამდე ქართულ პერიოდულ პრესაში იბეჭდებოდა და დღესაც იბეჭდება მისი მხატვრული თარგმანები, ლექსები და ზოგჯერ მოთხრობებიც, მაგრამ კრებულში წარმოდგენილი მოთხრობების უმრავლესობა ახლახან არის შექმნილი.

სარეცენზიო წიგნის ავტორი ლიტერატურული ფორმის თვალსაზრისით რაიმე სიახლეს არ გვთავაზობს, წერს ტრადიციულად და სტანდარტულად, ყველასათვის გასაგებ ენაზე, მაგრამ მთავარი, რაც ჩვენს ყურადღებას იპყრობს, ესაა თხრობის საოცარი უბრალოება და სისადავე. ავტორი სიუჟეტებს ხელოვნურად არ აკოწიწებს, წერს ისე, როგორც ცხოვრებაში უნახავს, ესაა - მხოლოდ მისეულ ფერებსა და შტრიხებს უმატებს და ისევ მკითხველს უბრუნებს ქურაში გამობრძმედილი აგურივით.

კრებულში წარმოდგენილ მოთხრობებს აკავშირებს ჯანსაღ ადამიანურ ურთიერთობებზე აგებული თემატიკა. მოთხრობების უმრავლესობის გმირები ჩვენი დროის გულღია ადამიანები არიან, მომავლის იმედებით, სიცოცხლითა და ადამიანური გრძნობებით სავსენი, სჯერათ სიყვარულის, მეგობრობის, ერთგულების, უყვართ სამშობლო და ცდილობენ, ნათელი კვალი დატოვონ ამქვეყნად. განსაკუთრებით თვალში საცემია წარმოდგენილი მოთხრობების ჰუმანისტური ხასიათი, ადამიანისა და ნებისმიერი ცოცხალი არსების ჭეშმარიტი სიყვარული, რაც ამკობს და ალამაზებს ადამიანს.

მწერალი ცდილობს, შეძლებისდაგვარად სამზეოზე გამოიტანოს და ამხილოს ზოგიერთი ნეგატიური მოვლენა, რომელსაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ადგილი აქვს ჩვენს ცხოვრებაში. ესაა გამოძალვა, მექრთამეობა, სიცრუე, ორპირობა და სხვა. ამ მხრივ გამოირჩევა მოთხრობა „აუხდენელი ოცნება“. მისი ლაიტმოტივი ასეთია: საწყობის გამგე დომენტი დონაძე თავს იწონებს თავისი მარიფათიანობითა და ოქროვერცხლით მოჭედილი ბინით. როგორც კი საწყობის გამგე გახდა და მუქთა ფული იშოვა, ცოლს, რომელიც მანამდე ოფიციანტად მუშაობდა, მუშაობა აუკრძალა და უბრალო დიასახლისად აქცია. „ესღა მაკლია, ჩემი ცოლი ისევ ოფიციანტად ვამუშაო და ლოთებმა თვალები უპრაწონო“, - ამბობდა იგი.

დომენტის ერთადერთი შვილი ჰყავს - მეათეკლასელი თემური, რომელიც მაინცდამაინც არ გამოირჩევა ბეჯითობით, მაგრამ გავლენიანი მამის წყალობით საგნების უმრავლესობაში ხუთები აქვს. „როგორც კი მოახლოვდებოდა მეოთხედის ბოლო დღეები, - წერს ავტორი, - დომენტი ალექსანდროვიჩი (ასე ეძახდა ყველა) მაშინვე სკოლის დირექტორთან გამოცხადდებოდა და შვილის ამბავს შეახსენებდა“. მისი მიზანი იყო, თემურს ხუთებზე დაემთავრებინა სკოლა და ექიმი გამოსულიყო, შვილი კი მამის ასეთი მოქმედების კატეგორიული წინააღმდეგი იყო და ხშირად ეკამათებოდა მამას: „მამი, დაანებე თავი სკოლაში დირექტორთან სიარულს, ყველამ იცის რაზეც დადიხარ მასთან. ამხანაგები დამცინიან, როგორც კი დაგინახავენ სკოლის ეზოში, მაშინვე მომაძახებენ: - შეხე, მამაშენი უკვე მოვიდა სკოლის დირექტორთანო. შენი წყალობით მე ბევრ საგანში ხუთიანები მაქვს. მათემატიკაში ნანა ჩემზე ძლიერია, მაგრამ მასწავლებელი მას მუდამ ოთხიანს უწერს, მე კი - ხუთიანს“.

მიუხედავად თემურის წინააღმდეგობისა, რომ მამა სკოლის დირექტორს არ გაკარებოდა, დომენტიმ მაინც იმდენი მოახერხა, რომ შვილს ოქროს მედალზე დაამთავრებინა სკოლა.

და აი, მოახლოვდა გამოცდების დღეც. თემური ერთი კვირით ადრე ჩავიდა თბილისში, დომენტი კი - სამი დღით ადრე, მაგრამ შვილს არ შეხვედრია და თემურმა ამის შესახებ არაფერი იცოდა. დომენტი ამ სამი დღის განმავლობაში სამედიცინო ინსტიტუტის ეზოში ტრიალებდა და ბოლოს ნახა ვიღაც რეპეტიტორი, რომელიც ვლადიმერ არავიძის სახელით, სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორობისა და მათემატიკის საგამოცდო კომისიის წევრობის სახელით გაეცნო მას.

> მთავარი, რაც ჩვენს ყურადღებას იპყრობს, ესაა თხრობის საოცარი უბრალოება და სისადავე. ავტორი სიუჟეტებს ხელოვნურად არ აკოწიწებს, წერს ისე, როგორც ცხოვრებაში უნახავს, ესაა - მხოლოდ მისეულ ფერებსა და შტრიხებს უმატებს და ისევ მკითხველს უბრუნებს ქურაში გამობრძმედილი აგურივით

ვლადიმერს კიდევ ორი კაცი ახლდა, რომლებიც თავის ასისტენტებად გააცნო დომენტის. გამოცდების წინა ღამეს დომენტიმ ყველა რესტორანში დაპატიჟა და რეპეტიტორებთან ერთად მაგრად მოილხინა, მაგრამ ამაოდ - მეორე დღეს, საღამოს, როცა ინსტიტუტში ჩარიცხულთა სია გამოაკრეს, თემურ დონაძის გვარის გასწვრივ „ორიანი“ ეწერა. განრისხებულმა დომენტიმ დაიწყო ვლადიმერის ძებნა, მაგრამ რას იპოვიდა, როცა ისინი იმავე დღეს თბილისიდან გაუჩინარებულიყვნენ. განერვიულებული ჩაჯდა თავის ახალთახალ „ვოლგაში“ და ბათუმისკენ გააქანა. წინა ღამის სიმთვრალე და უძილობა ჯერ კიდევ არ გამოსვლოდა ორგანიზმიდან და დროდადრო თვლემდა, პირიც დაიბანა, მაგრამ ამან ვერ უშველა, ვერ გამოფხიზლდა და მარჯვნივ ხეს შეასკდა. „როცა იგი მეზობლებმა ნახეს, - ამბობს ავტორი, - მას ამქვეყნიურის ნიშანწყალი არ ემჩნეოდა“.

ნოველებში „ერთხელ ბავშვობისას“ და „ბათურა“ საუბარია ცხოველების უზომო სიყვარულზე, პირველში - კატის სიყვარულზე, მეორეში კი ძაღლის, ხოლო ნოველაში „მე და ჩემი სოფელი“ - სოფლის სიყვარულზე და ა. შ. ზოგიერთ მათგანში ავტორი გვიჩვენებს ქალ-ვაჟთა ურთიერთ და სამშობლოს ჭეშმარიტ სიყვარულზე, რომელიც ადამიანს შეუძლებელს შეაძლებინებს.

დასასრულ გვინდა აღვნიშნოთ, რომ წიგნი დაწერილია გამართული ლიტერატურული ენით, იკითხება ერთი ამოსუნთქვით და ბოლოში გასულს სიკეთისა და სითბოს განცდა გეუფლება, გრძნობ, რომ უკეთესი გახდი, ვიდრე ამ წიგნის წაკითხვამდე იყავი.

ვუსურვოთ წარმატებები ამ კრებულსა და მის ავტორს. მრავალჟამიერ!

ზურაბ ფირცხალაიშვილი

სტუმარი

# განსაკუთრებული რეცეპტი – პაციენტებისთვის

ნანა აბულაძე 577 20 35 90

***ბათუმს არაერთი წარმატებული და ლიდერი ქალბატონი ჰყავს, რომლებსაც არასოდეს უთქვამთ საკუთარ ოცნებებზე უარი და თავდაუზოგავი შრომითა და ძალისხმევით მიაღწიეს წარმატებას, მათ შორის საერთაშორისოს. მიგვაჩნია, რომ ხშირად უნდა გიამბოთ ქალბატონებზე, რომელთა საქმიანობა და ყოველდღიურობა სტიმული და მაგალითია მათთვის, ვისაც, შესაძლოა, საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რწმენა აკლიათ დღეს***

*გაზეთი „აჭარა“ ხშირად მოგიყვებათ სხვადასხვა სფეროში წარმატებულ ქალბატონებზე. დღეს თქვენს წინაშე არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი სფეროს წარმომადგენელი, ექიმ-კოსმეტოლოგი **ნათია ბერიძე** წარსდგება, მან საკუთარი ესთეტიკური ცენტრი „ესტია“ ჩამოაყალიბა და წლებია, ქალბატონების სილამაზესა და ჯანმრთელობაზე ზრუნავს, მიაჩნია, რომ, პირველ რიგში, ადამიანის სილამაზე მისი სულიერებიდან მოდის, ამიტომაც ყველაზე ხშირად პაციენტებს თავისებურ რეცეპტს უწერს. მაინც როგორს? ამას ჩვენი ინტერვიუდან გაიგებთ.*

**- როგორი იყო გზის დასაწყისი?**

- მიმაჩნია, რომ, ზოგადად, ყოველი გზის დასაწყისი ძალიან რთულია, არაერთ გამოწვევას ხვდები, მაგრამ როცა რაღაც მთელი გულით გსურს, საკუთარ თავში პოულობ ძალას, რომ გზა განაგრძო და მიაღწიო დასახულ მიზანს. იმდენად მინდოდა საკუთარი ესთეტიკური ცენტრი მქონოდა, არ შევუშინდი არცერთ ბარიერს, ყოველდღიური თავდაუზოგავი შრომით მივაღწიე იმას, რომ დღეს „ესტია“ ადამიანებისთვის ხარისხთან, სანდოობასთან და კომფორტთან ასოცირდება.

**- პირველი წარმატება...**

- ყველა წარმატება, რაც გვხვდა წილად, მოვიდა ნელ-ნელა, რადგან არასოდეს არაფერი ხდება უცებ, ყველაფერს სჭირდება თავისი დრო და სწორად გადადგმული ნაბიჯები, რითაც აუცილებლად მიაღწევ ყველაზე დიდ ჯილდოს - ადამიანების ნდობასა და სიყვარულს.



**- ნდობის მოსაპოვებლად რა არის საჭირო?**

- სიყვარული საკუთარი პროფესიისადმი. მომხმარებელმა უნდა იგრძნოს, რომ მთელი გულისყურით უსმენ და მზად ხარ, დაეხმარო ყველა პრობლემის გადაჭრაში. საზოგადოებაში ნდობის მოპოვება რთულია, თუმცა, როცა ხედავენ, როგორ ვითარდები ყოველდღიურად, რამდენ ძალისხმევას და შრომას დებ საკუთარ საქმიანობაში, აფასებენ შენს კვალიფიციურობას და გენდობიან. იმდენად სწრაფად ვითარდება ესთეტიკის სფერო, უფლება არ გვაქვს, მოვდუნდეთ, ყოველდღიურად რაიმე ახალი არ წავიკითხოთ და შევისწავლოთ, ორიენტირებული არ ვიყოთ მუდმივ პროგრესზე.

**- როდის გაჩნდა „ესტია“?**

- ყოველთვის მინდოდა და მესიზმრებოდა კიდეც, რომ როცა უკრაინიდან, სადაც ვსწავლობდი და ვმუშაობდი, საქართველოში, კერძოდ, ბათუმში დავბრუნდებოდი, აუცილებლად გავაკეთებდი პატარა, მყუდრო ცენტრს, სადაც იქნებოდა მისაღები ფასები და ხარისხი. ასეც მოხდა და უკვე ექვსი წელია, ესთეტიკის ცენტრი „ესტია“, რომლის სახელწოდებაც ბერძნულად მყუდრო სახლს ნიშნავს, ზრუნავს იმაზე, რომ ჩვენთან შემოსულმა თითოეულმა მომხმარებელმა კომფორტულად და უსაფრთხოდ იგრძნოს თავი.

**- რა არის ის მთავარი ძალა, რაც გაძლევთ მოტივაციას, იყოთ წარმატებული ექიმი, მზრუნველი დედა, მეუღლე და ბებია?**

- პირველ რიგში, საქმისა და ადამიანების სიყვარული. ძალიან მიყვარს ადამიანები, მათთან ურთიერთობა, აზრების გაცვლა. მიმაჩნია, თუ გინდა იყო ბედნიერი, უნდა გაიღიმო, შეიყვარო, ესაუბრო ხეებსაც, წყალსაც, ქუჩებსაც, რაც მოგცემს ძალას შენი ცხოვრება უფრო ლაღი, საინტერესო და ფერადოვანი გახადო. იმდენად ლამაზია სამყარო, ადამიანებმა არც უნდა დავიტოვოთ დრო ცუდზე საფიქრალად. პაციენტებს ჩემეულ რეცეპტს ვუწერ ხოლმე - ხშირად ვეუბნები, რომ გაიღიმონ, სჯეროდეთ უკეთესი ხვალინდელი დღის. ვერცერთი ინექცია ვერ გაგვალამაზებს ისე, როგორც შინაგანი სილამაზე. სილამაზე, პირველ რიგში, ლამაზი სულია, დანარჩენი, რაც ვიზუალურ სილამაზეს შეეხება, რა თქმა უნდა რუტინაა, რომელსაც ყოველდღიური ზრუნვა და შრომა ესაჭიროება.

**- რამდენიმე რეკომენდაცია, რჩევა გაუზიარეთ ქალბატონებს - როგორ მოუარონ სახის კანს.**

- არასდროს არის გვიანი სახის მოვლაზე ზრუნვის დაწყება. ძალიან მნიშვნელოვანია სახის სწორი დაბანა, გაწმენდა. ასევე აუცილებელია, რომ ნებისმიერ ამინდში სახე დავიცვათ მზის სხივებისგან. სახლიდან როცა გადიხართ, სახეზე უნდა წაისვათ თქვენი კანის ტიპისთვის შესაფერისი დამცავი კრემი. ჩემი რჩევაა, დაყენებული წყლით ჩამოვიბანოთ სახე. თუ ცხიმიანი კანი გაქვთ, დაბანა დაიწყეთ ოთახის ტემპერატურის წყლით და დაასრულეთ ცივი წყლით. იმისათვის, რომ გქონდეთ კარგი კანი, ზემოთ ჩამოთვლილთან ერთად, უნდა ცხოვრობდეთ ჯანსაღი ცხოვრების წესით, არეგულიროთ კვება და დაიცვათ წყლის ბალანსი, ასევე მოიწესრიგოთ ძილი. სასურველია, ჩანთაში სულ ვიქონიოთ თერმორეგულატორი და მივისხუროთ სახეზე, რათა ჩვენი სახის კანი მუდმივად დატენიანებული იყოს.

# გარემოს დაბინძურების პრევენციისთვის

მე-2 გვერდიდან

კანონპროექტი 2026 წლიდან ამოქმედდება ახალი საწარმოებისთვის, უკვე არსებული საწარმოებისთვის კი სხვადასხვა სექტორის მიხედვით, კანონის ამოქმედების სხვადასხვა გონივრული ვადებია განსაზღვრული, რათა საწარმოებმა განახორციელონ მნიშვნელოვანი ინვესტიციები და მოექცნენ საკანონმდებლო ჩარჩოში, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათზე საკმაოდ სოლიდური ჯარიმები იმოქმედებს (10 ათას ლარზე მეტი).

იმის გამო, რომ ახალი კანონპროექტის ერთ-ერთი მოთხოვნა სამრეწველო საწარმოებიდან ჰაერის დაბინძურების მაქსიმალურად შემცირებაა, მისი ამოქმედებისთვის უმნიშვნელოვანესია ჰაერდაცვითი მიმართულებით უკვე მიღებული რეგულაციები - მსხვილი სამრეწველო საწარმოებისთვის თვითმონიტორინგის ვალდებულების დაწესება. ნინო თანდილაშვილის განმარტებით, ამ რეგულაციების ამოქმედების შემდეგ საწარმოებმა დაიწყეს ინტენსიური გადაიარაღების პროცესი.

„საუბარია 70-მდე საწარმოზე, მსხვილ ობიექტზე, რომლებიც მოიცავს მრეწველობის თითქმის ყველა დარგს. ისინი პროცესში არიან, რომ დანერგონ თანამედროვე სტანდარტები და ჰაერდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნები. შედეგი გახლავთ ის, რომ 15-მდე საწარმომ მოახერხა გადაიარაღება, ჩაერთო ონლაინ თვითმონიტორინგის სისტემაში და გვაწვდის უწყვეტ მონაცემებს ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შესახებ. საწარმოებს სამინისტრომ შეუდგინა დეტალური გეგმები და განუსაზღვრა გონივრული ვადები. ჩვენი მოლოდინია, რომ ყველა საწარმო მოიყვანს საწარმოო-ტექნოლოგიურ პროცესს ახალ სტანდარტებთან შესაბამისობაში“, - განაცხადა ნინო თანდილაშვილმა.

# წლებით და მონაგარით დახუნძლული

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

***6 შვილი, 25 შვილიშვილი, 57 შვილთაშვილი, 19 შვილთაშვილის შვილი, - ესაა შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ბესელაშვილების მკვიდრის ბულვარდ დიასამიძის მონაგარი. 90 წელს გადაცილებული ამაგდარი დედა, მზრუნველი ბებია ჩვენი გაზეთის სტუმარია***



- ოჯახში სამი და ვიზრდებოდით. უფალმა გვარის გამგრძელებლის გაჩენა არ ინება. საუკუნეების წინ ბესელაშვილებელი მგელაძეების შთამომავლები გოგინაურში, კვიახიძეებში, პაპოშვილებში დამკვიდრდნენ. მეორე მსოფლიო ომის ძნელბედობის წლებმა, ომისშემდგომმა პერიოდმა ყველა ოჯახი მკაცრი განსაცდელის წინაშე დააყენა. მშობლების მუხლჩაუხრელი შრომით, ჩვენი თანადგომით ოჯახის სამყოფი სიმინდი, ლობიო, ხილი და მეცხოველეობის პროდუქტები სულ გვქონდა, სოფელში ცხოვრების დონით ოჯახი ვერ გვიტოლდებოდა. ჯერ დები გათხოვდნენ, 17 წლის ნაბოლარას თანასოფლელმა მუხამედ დიასამიძემ დამადგა თვალი. ერთმანეთის შესაფერისი წყვილი ვიყავით, იმ დროისთვის შესაფერისი ქორწილიც გადავიხადეთ... მერე პირველი შვილიც გაჩნდა. ნათესავები, მთელი სოფელი გვილოცავდა წუთისოფელში თამაზის მოვლინებას. ჩემთვისაც დიდი სიხარული იყო, რომ ვაჟის დედა გავხდი. ბევრმა იქნებ ცუდად გამიგოს, მაგრამ გვარის გამგრძელებლის გაჩენას დღესაც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. უფლის წყალობით, ჩემს შთამომავლებში ვაჟი სანატრელი არაა. ასაკობრივი სხვაობა ჩემსა და თამაზს შორის 18 წელია. ისიც პირველ შვილზე ამდენივე წლითაა უფროსი. ქალიშვილიდან უფროსი შვილიშვილი თამაზზე 18 წლით უმცროსია.

**- ოჯახი ყველას ადრეულ ასაკში შეგიქმნიათ...**

- თამაზი რომ დავაქორწინე, არმიაში შემდგომ გაიწვიეს. ნაბოლარა ქალიშვილიც ოჯახს რომ მოეკიდა, პირველ შვილზე იყო ორსულად, სიძემ რომ ყაზახეთში, ბაიკონურის ატომურ სადგურში გაიარა სავალდებულო სამხედრო სამსახური. ახლა დასაქორწინებელია მათი მესამე ვაჟი - მანუჩარი. მხოლოდ მან გადაამეტა 25 წელს. დანარჩენი შვილიშვილები ამ ასაკამდე დავაოჯახეთ.

**- ყველა ფაქტი, თარიღი ასე ზუსტად როგორ გახსოვთ?**

- ამ ასაკში არც მეხსიერებას ვემდური და არც მხედველობას, ესაა, რომ ტკივილები შემომეჩვია. ექიმების მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ვარ. ხელსაქმეს მაინც ვერ ველევი. 25 შვილიშვილი, 57 შვილთაშვილი და 19 შვილთაშვილის შვილი საჩუქრის გარეშე არ დამიტოვებია. ისინიც თავს მევლებიან. ასაკის მიუხედავად, წელიწადში ერთხელ, რამდენიმე დღით, შვილებსა და შვილიშვილებს ჩამოვუვლი ხოლმე.

**- ტკბილქართულით საუბრობთ...**

- პირველი მოვლინებული მასწავლებელი ქეთო ქაშიბაძე - კარგი მექართულე და სანიმუშო პედაგოგი მასწავლიდა. 7-წლიანი სკოლა წარჩინებით დავამთავრე. საკუთარი სურვილითა და პედაგოგების რჩევითაც, ხულოს ქალთა პედაგოგიურ სასწავლებელში გავაგრძელე სწავლა. მამის მოულოდნელმა გარდაცვალებამ ყველაფერი შეცვალა. ამასობაში მუხამედიც გამოჩნდა და... ოჯახი შევქმენით. შთამომავლობას სულ ვურჩევ, რომ ისწავლონ, ცხოვრების მეგზურად წიგნი აქციონ. ისინიც მიჯერებენ. ორი შვილიშვილი აკადემიური დოქტორია. მთელმა ქვეყანამ გაიცნო პატარა საბა დიასამიძე, რომელიც დუტა სხირტლაძეს «პატარების დიდ შოუში» ჰყავდა მიწვეული. მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული შვილები, შვილიშვილები ჰყავთ თამაზს, ზურაბს, ნათელასა და გუგულის. პირველი შვილი თამაზი საუკეთესო ხელოსანია. მისი შვილებიც ამ გზით მიდიან და საზოგადოებაში კარგი ავტორიტეტით სარგებლობენ. მეცნიერება, ხელოსნობა იტაცებთ გუგულის შვილებს - მერაბს, მარადსა და მანუჩარს. მათი და მალვინა მომავალი ფილოსოფოსია.

**- თავს ვალმოხდილად მიიჩნევთ?**

- შთამომავლობაზე ზრუნვა ჩემთვის უპირველესი მოვალეობა და უდიდესი პასუხისმგებლობაა. ჩემი 107 შთამომავალია ქვეყანაში მიმოფანტული. მრავალგზის დავფიქრებულვარ გურიაში მცხოვრები გურამისა და მისი ოჯახის ბედზე. მან და რძალმა გულნაზ აბუსელიძემ შესანიშნავი ოჯახი შექმნეს. ერთ ჰექტარზე მეტი თხილის პლანტაცია აქვთ. იციან შრომის ფასი. ერთხანს ჯავახეთის ზეგანზეც იშრომეს, ბოსტნეულის მაღალი მოსავალი მოიყვანეს, ცხვარძროხას უვლიდნენ. ზოგიერთები უცხოეთში გარბიან სამუშაოს საძებრად. ხელს თუ გაანძრევ და ჭკუას მოიხმარ, ამ დალოცვილ მიწაზე სარჩო-საბადებელს მრავლად ნახავ. თამაზი შუახევის სატყეო მეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში მეუღლესთან ერთად მუშაობდა. ბუჩქებით, ეკალ-ბარდებით დაფარული ტერიტორია გაასუფთავა და დროებითი საცხოვრისი გაიჩინა. მოუვლელი ადგილები თანდათანობით სავარგულად, ხეხილის ბაღად აქცია. ახლა იმ უბანში ყველაზე ნაპატრონები მამული მას აქვს. 75 წელს მიტანებული ცოლ-ქმარი ზაფხულობით აჭარა-გურიის ქედზე, მერიაყელის მთაში პირუტყვს პატრონობენ. ოჯახისთვის სამყოფ კარაქს, ყველს, ნადუღს ამზადებენ, 3-4 ათასი ლარის ნამეტი მეცხოველეობისა და მემინდვრეობის პროდუქტები ბაზარზე გააქვთ. შუათანა ქალიშვილი ნაზი ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალსოფელშია გათხოვილი. მის შრომისმოყვარეობაზე, ოჯახისადმი ერთგულებაზე ბევრი საუბრობს. კმაყოფილი დავრჩები, თუ იმასაც დაწერთ, რომ ჩემს შთამომავლებს ბოროტება არ ახასიათებთ. ამასაც უფლის მიერ ბოძებულ მადლად მივიჩნევ.

**- თქვენ და შთამომავლობის ერთი ნაწილი ისლამის მიმდევრები ხართ, ნაწილი მართლმადიდებლობას ეზიარა. მათ ამ ნაბიჯს როგორ შეაფასებთ?**

- მთავარია, ადამიანმა ღმერთი იწამოს. კეთილმოსურნე, მორწმუნე ადამიანი, ქრისტიანი იქნება თუ მუსლიმანი, მეზობელს, ქვეყანას ბოროტებას არ გაუკეთებს. მე ცნობილ ხოჯა-მოლებს მოვესწარი. კარგად მახსოვს დაბაძველელი სულეიმან ზოიძის ქადაგებანი. ის არაბულიდან ქართულ ენაზე ყურანსაც თარგმნიდა. მუსლიმანურ რიტუალს ყოველთვის ქართულ ენაზე საუბრით ამთავრებდა. დამსწრეთ მოუწოდებდა, შვილები ახლად აღდგენილ ქართულ სკოლებში მიეყვანათ. იმასაც იტყოდა: ჩვენი კუთხის მომავალი ერთიანი საქართველოს ფარგლებში ყოფნააო. ღვთის მსახური პირადი ცხოვრებითაც სანიმუშო და მაგალითის მიმცემი უნდა იყოს. ბესელაშვილები, მეზობელი სოფლები - დაბაძველი, ოქროპილაური, უბნები: კლდისუბანი, გუნდაური, დრო ის დასახლებებია, სადაც მეჩეთი და მედრესე არ მოქმედებს. ესეც აქ მცხოვრებთა შორსმჭვრეტელობაზე მიუთითებს. ერთი შვილიშვილი ლაშა დიასამიძე შემოქმედებით სარბიელზე ცდილობს ადგილის დამკვიდრებას. მისი ლექსები პერიოდულ პრესაში დაიბეჭდა. იგი საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმინდა აბუსერისძე ტბელის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტი იყო. ხშირად მიყვებოდა ხიჭაურსა და დაბა შუახევში მართლმადიდებლური ტაძრების მშენებლობაზე.

**- მრავალი შვილი მრავალი დარდიაო...**

- თქვენთან რომ ვსაუბრობ, ბესელაშვილებში მიტოვებულ სახლზე ვჯავრობ. შვილიშვილ გიორგის შვილი შეეძინა. ჯერჯერობით ყველანი ბათუმში არიან. მე სახლში მარტო დარჩენას დროებით ცინარეთში გამოთხოვილ ქალიშვილ გუგულისთან ყოფნა ვამჯობინე. სოფელში ქურდობა გახშირდა. ვშიშობ, ჩვენ სახლსაც არ მიაკითხონ. ამ ასაკში უქმად გაჩერება მიჭირს. მამულზე, მშობლიურ ადგილებზე თვალის ერთი გადავლებაც სიცოცხლეს მიხანგრძლივებს.

**- სოფლის საქმეებში თუ ჩარეულხართ?**

- ეს ყველა ადამიანის ვალია. შრომა არასდროს მითაკილია. ღორიალიდან ბესელაშვილებამდე ზურგით ტვირთიც ჩამიტანია და თამბაქოს ნაკვეთიდან 15-50 კილოგრამი ნედლი თამბაქოთი სავსე გოდრის საშრობ ფარდულში მიტანა არ დამზარებია. 700-800 კილოგრამი ხმელი თამბაქოს მოვლა-მოყვანა-დამზადება და პუნქტში მიტანა გაუსაძლის შრომას ითხოვდა. გეგმას ერთი კილოგრამი ხმელი თამბაქო რომ დაკლებოდა, მთელი წლის ნაშრომი იკარგებოდა. სოფელში გამართულ კრებებზე სიტყვას მაძლევდნენ. თქვენს მსგავსად, ისინიც მეტყველების კულტურას მიწონებდნენ. საქმე საქმეზე რომ მიდგება, სოფლის საქმეებში ახლაც ვერევი. ამას წინათ ბესელაშვილებში შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე და კომისიის თავმჯდომარე ზაზა დავითაძე იყვნენ. მოსაცდელი ჯიხურის დასადგმელად ტერიტორია რომ შეარჩიეს, გზად მიმავლები გავაჩერე და სოფლის სამანქანე გზის 150 მეტრ მონაკვეთზე ბეტონის საფარის დაგება ვთხოვე. პირობა მომცეს, მაგრამ შემდეგ მაინც მოვიკითხე. ეს პროექტი მომავალი წლის პროგრამაში შეუტანიათ. გამიხარდა, ასაკოვან ქალს რომ მომისმინეს და თხოვნა ქარს არ გაატანეს.

**- ახალ წელს რა სურვილით ხვდებით?**

- მხატვრული ლიტერატურის კითხვა მიყვარდა. რაიონული გაზეთის, «აჭარის» აქტიური მკითხველი ვიყავი. სოფლის ბიბლიოთეკარი თამბაქოს ფარდულში მოდიოდა და წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს გვიტოვებდა. მახსოვს, პარმენ ლორიას «მევლუდი» იქ წავიკითხე. ახლა წიგნი და გაზეთი ტელევიზორმა ჩაანაცვლა. დიქტორების, სერიალებში მონაწილე მსახიობების გვარ-სახელები ზეპირად ვიცი. უკრაინაში მიმდინარე პროცესებსაც თვალ-ყურს ვადევნებ. თვალები ცრემლით მევსება, როცა დამწვარ-დანგრეულ სახლებს, საკუთარი საბუდარიდან აყრილ ადამიანებს ვუყურებ. არ გვინდა ომი. კარგად მახსოვს მეორე მსოფლიო ომისდროინდელი გაჭირვება და შიმშილი. წიფლის ქერქს ვაფქვევდით და სიმინდის ფქვილში შერეულს მივირთმევდით. კარტოფილშერეული მჭადი დელიკატესი იყო. 2008 წლის აგვისტოს ომმაც მრავალი სადარდებელი დაგვიტოვა. ერთი ჩემი ახლობელიც შეეწირა სამშობლოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას. მშვიდობაზე უძვირფასესი სიტყვა არ მეგულება. სიკვდილი ჩვენს თავზეა, წუთისოფელს არავინ შერჩენია და ომებით ნუ მოვისწრაფებთ ერთხელ ბოძებულ სიცოცხლეს. 2023 წელს მშვიდობას და შთამომავლების სიჯანსაღეს ვისურვებდი!

# შუახევის ცენტრი სახეს იცვლის

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

***ოთხი წლის წინ, რეგიონული ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით დაბა შუახევში რუსთაველის, თამარ მეფისა და სელიმ ხიმშიაშვილის ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოები დაიწყო. რუსთაველის ქუჩის ნაწილზე ჩამოისხა საყრდენი კედლები და დაიგო ქვაფენილი. ქუჩის მარჯვენა მხარეს, თითქმის სამას გრძივ მეტრზე სავალი ბილიკი გაკეთდა. ორ ადგილას სკვერები მოეწყო. დამონტაჟდა გარე განათება***

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ბათუმი-ახალციხის საავტომობილო მაგისტრალის 10-კილომეტრიან მონაკვეთზე, რომელიც დაბა შუახევზე გადის, სარეკონსტრუქციო სამუშაოებს ატარებს. პროექტით საყრდენი კედლების ჩამოსხმაა გათვალისწინებული, რაც კონკურსში გამარჯვებული კომპანიის ოსტატებმა უკვე დაასრულეს. მათ ასეულობით კუბური მეტრი მზა ბეტონი მოახმარეს თითქმის 90 მეტრზე საყრდენი კედლების ამოყვანას.

110 ათასი ლარია მობილიზებული რუსთაველის ქუჩის ნაწილზე არსებული საყრდენი კედლების მოსაპირკეთებლად. სამუშაოებს კონკურსში გამარჯვებული შპს «თატა - 2020» (დირექტორი მამული აბულაძე) ასრულებს.

- წელს საყრდენი კედლების გასწორების სამუშაოებს მოვრჩებით, ხოლო ფილების აკვრა გაისად დასრულდება, - გვითხრა სამუშაოთა მწარმოებელმა ლაშა ტარიელაძემ.

შპს «თატა-2020»-ის მსგავსად, დაბა შუახევის ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოებითაა დაკავებული შპს «ზურა-2020» (დირექტორი - მირიან დავითაძე). ეს ფირმა ადგილობრივი ბიუჯეტიდან მობილიზებული 250 ათასი ლარის სამუშაოებს ასრულებს. ოსტატებმა საავტომობილო გზა შეიყვანეს შუახევის კულტურის ცენტრის ეზოში. საბავშვო ატრაქციონი დაამონტაჟეს, საყრდენი კედლები ჩამოასხეს. კეთილმოაწყვეს სოციალური სახლის ეზო. აქ 50-ზე მეტი ოჯახი ცხოვრობს.

კეთილმოწყობის სამუშაოები განხორციელდა ჭავჭავაძისა და სელიმ ხიმშიაშვილის ქუჩებზე. აქ «ზურა-2020»-ის ოსტატებმა იმუშავეს.

- ბოლო ოთხი წლის განმავლობაში დაბა შუახევის ცენტრის კეთილმოწყობაზე 1 მილიონ 860 ათასი ლარია დახარჯული. ცენტრის კეთილმოწყობა გაისადაც გაგრძელდება. შუახევის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ამ მიმართულებით 300 ათასი ლარი იქნება მობილიზებული. გაგრძელდება საყრდენი კედლების ჩამოსხმა და მოპირკეთება, ქუჩებსა და სკვერებში ლამპიონების დაყენება, სკვერების მოწყობა. ადგილობრივებისა და სტუმრებისათვის მიმზიდველ ადგილად იქცევა კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორია. შენობის რემონტის დამთავრებისთანავე ტერიტორიის კეთილმოწყობაც დასრულდება. ამ პროექტთან ერთად, დაბის ცენტრში სამსართულიანი შენობის აგებას ვიწყებთ, სადაც კულტურის ობიექტები განთავსდება. მალე დაბაში ეთნოგრაფიული მუზეუმიც გაიხსნება, - გვითხრა შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ.



# მთიან აჭარაში – ტურიზმის განსავითარებლად



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ტურიზმის დეპარტამენტის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტომ ამჯერად ქედაში - დანდალოს ჩანჩქერთან მისასვლელი 400 მეტრი სიგრძის ბილიკი გაჭრა და გარემოსთან ადაპტირებული ხის კიბე-მოაჯირეებით მოაწყო.

„მიუხედავად იმისა, რომ დანდალოს ჩანჩქერი სილამაზითა და წყლის კარგი ვარდნით გამორჩეული ჩანჩქერია, მასთან მისვლა ტურისტების საკმაოდ რთული და საფრთხის შემცველი იყო, მოწესრიგებული ბილიკი კი მოგზაურებს ჩანჩქერთან გადაადგილებას გაუმარტივებთ. წელს ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტომ მთიანი აჭარის ტურისტულ მარშრუტებსა და საოჯახო-სასტუმრო სახლებთან 100-მდე ნიშნული დაამონტაჟა, მათ შორისაა ღორჯომის საფეხმავლო ბილიკი, კვარიათის ველობილიკი, ქედა-შუახევის დამაკავშირებელი ველობილიკი და 20-ზე მეტი საოჯახო-სასტუმრო სახლი აჭარის მუნიციპალიტეტებში. გარდა ამისა, სააგენტო ხიხანის ციხეზე ასასვლელ ტურისტულ ბილიკსა და ქობულეთის დაცულ ტერიტორიაზე ტურისტულ ინფრასტრუქტურას აშენებს“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

ამირან ბურიელიძე

# ჩვენი შალვა იუბილარია

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

***საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე, აჭარის ვეტერანთა სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი, აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი, ბათუმის „სახალხო აკადემიის“ წევრი შალვა ტაბაღუა იუბილარია - 16 დეკემბერს მას 85 წელი შეუსრულდება***

არ არის ეს პატარა ასაკი, მაგრამ თუ კარგად გამოიყურები და ისევ მხნედ დადიხარ, მაშინ ეს მხოლოდ ციფრებია. შალვა ტაბაღუა, გულთბილი, სიკეთით სავსე ადამიანი, სწორედ ასე სპორტულად და ოპტიმისტურად დააბიჯებს მშობლიური ქალაქის ქუჩებში.



1937 წელს დაიბადა ბათუმში, დაამთავრა №3 რუსული საშუალო სკოლა. ჭიდაობა თავიდანვე იტაცებდა და წარმატებებსაც მიაღწია - იყო აჭარის, საქართველოს ჩემპიონი თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობებში. ტრავმების გამო, აქტიურ სპორტში მოღვაწეობა ველარ გააგრძელა. დაამთავრა თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტი მასობრივი სპორტის მეთოდისტის კვალიფიკაციით და ამავე სპეციალობით დაიწყო მუშაობა მეთოდისტად. ამ თანამდებობაზე ათ წელზე მეტი იმუშავა სხვადასხვა დაწესებულებაში. 1975-1980 წლებში სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ მოჭიდავეთა გუნდის მწვრთნელი იყო, თითქმის სამი ათეული წელი - კავშირგაბმულობაში მეთოდისტი. მისი აქტიური მუშაობის შედეგი იყო, რომ ეს საწარმო, სპორტული მუშაობის მხრივ, ყოველთვის გამოირჩეოდა. 1995-2005 წლებში ბათუმის სამხატვრო სასწავლებლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი, პარალელურად, ბათუმის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე იყო. ათი წლის განმავლობაში აჭარის მასობრივი სპორტის ფედერაციის გენერალური მდივანი გახლდათ, შემდეგ - აჭარის ქართული ჭიდაობისა და ნარდის ფედერაციის გენერალური მდივანი. შალვა ტაბაღუა გახლავთ ეროვნული კატეგორიის მსაჯი, ზოგჯერ სპორტულ ჟურნალისტიკაშიც ცდის კალამს.

ძნელია ნახო ბათუმელი, ვისაც ეს სიკეთით სავსე ადამიანი არ უყვარს. მუდამ ღიმილიანს, არ შეიძლება თავადაც ღიმილით არ შეეგებო. სპორტის სფეროში 60 წელზე მეტია, მოღვაწეობს, არის არაერთი სპორტული სიახლის ინიციატორი. ათი წელია, მისივე დაარსებული აჭარის ვეტერანთა სპორტის ფედერაციის პრეზიდენტია. მან პირველმა ჩაატარა ბათუმში პირველობა ასფალტის ჰოკეიში. ცალკე უნდა გამოვყოთ მისი მუშაობა ვეტერან ქალბატონებთან, რომლებიც ყოველ დილით იკრიბებიან ბათუმის ბულვარში. მათ ყველა „ღიმილის ქალბატონებს“ უწოდებს. სწორედ ბატონი შალვას ხელმძღვანელობით და ინიციატივით ატარებენ აქ შეჯიბრებებს სპორტის სხვადასხვა სახეობაში, მათ შორის ნარდში, შაშში, მკლავჭიდში, დომინოში, სპორტულ თევზჭერაში...

**- სპორტი რომ არა, რა პროფესიას აირჩევდით?**

- ალბათ, არქიტექტორობას, ძალიან მიყვარდა. სპორტითაც ვიყავი გატაცებული, ვმონაწილეობდი შეჯიბრებებში. ამავდროულად, ვიგონებდი რაღაც ფიგურებს, ვხატავდი, ვხაზავდი, შემარქვეს კიდეც „სპორტის არქიტექტორი“. ბევრი შარჟი მაქვს ბათუმელებისადმი მიძღვნილი, ცოტ-ცოტა ლექსებსაც ვწერდი, თუმცა მაინც სპორტს გავყევი.

**- ალბათ, გიხარიათ, ოჯახის წევრები რომ ხელოვნებით სუნთქავენ.**

- რა თქმა უნდა. ჩემი შვილი ტარიელი, რძალი ლია კასპელაშვილი და უფროსი შვილიშვილი ბექა მხატვარ-კერამიკოსები არიან, ამასთან ბექა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია მაგიდის ჩოგბურთში. ჩემი ოცნება ნიკამ ამისრულა - არქიტექტორია, ქალიშვილი - ინგა სამუსიკო სკოლის პედაგოგია, მეუღლე - გიული კუპრეიშვილი - „შეუმდგარი“ მომღერალი. ნაადრევად მოვიტაცე. შესანიშნავი დიასახლისია. 55 წელია, ერთად მოვდივართ, ერთმანეთს „ვუძლებთ“.

**- ადამიანისთვის 85 წელი ბევრია თუ ცოტა?**

- შუა გზაზე ვარ. მგონი, „მეორე სუნთქვა“ გამეხსნა.

**- რის განხორციელებას ისურვებდით?**

- მქონდა შეტანილი განაცხადი ბათუმის მერიაში „შენი იდეა ბათუმს“, მაგრამ 70 მონაწილეს შორის 20-შიც კი ვერ მოვხვდი.

**- რაში მდგომარეობდა თქვენი იდეა?**

- შაბათი და კვირა ქალაქში უნდა ყოფილიყო „უმანქანო“ დღეები. მძღოლები ამ დღეს ჩაერთვებოდნენ სპორტის სხვადასხვა სახეობაში, გამარჯვებულებს დავაჯილდოებდით. მძღოლები ერთმანეთს გაიცნობდნენ, ჯანსაღი ცხოვრების წესში თავადაც შეიტანდნენ წვლილს, ქალაქიც დასუფთავდებოდა....

შალვა ტაბაღუა რამდენიმე ხნის წინ ავარიაში მოჰყვა. ყველამ განვიცადეთ. ჩვენდა სასიხარულოდ, სწრაფად გამოჯანმრთელდა და ისევ ისე მხნედაა. ის გაზეთ „აჭარის“ დიდი ხნის მეგობარია. თავადაც კეთილმოსურნეს, ყოველთვის გულთბილად ხვდება ჩვენი კოლექტივი. დიდხანს ყოფნასა და დღეგრძელობას ვუსურვებთ მას. კიდევ არაერთი წელი ეღვაწოს ადამიანების სამსახურში.

# ტანტრუმი და მისი მართვა მშობლის მიერ

ქეთევან კილაძე 593 73 45 74



**ტანტრუმი - ემოციების ამოხეთქვა, გადაბჟირება** - მშობლებისთვის კარგად ნაცნობი ცნებაა. იგი მშობლისთვის მეტად არასასურველი ქცევაა და ხშირად არასწორი რეაქცია აქვს ბავშვის ტანტრუმის დროს. უფროსების იმპულსური მოქმედება კიდევ უფრო ამძიმებს სიტუაციას.

ხშირად მშობლები ტანტრუმს ამგვარად აღწერენ: «სრულ სისულელეზე ატეხა ერთი ამბავი», «ყველა წვრილმანზე ასე ემართება»... რადგან მიზეზი, რომლის გამოც პატარას ასე ეშლება ნერვები, უფროსებისთვის უმეტესად აბსურდული და უმნიშვნელოა. ბავშვი კი პირიქით ფიქრობს და მშობლების ასეთ სიტყვებზე უფრო ღიზიანდება. ასევე, მშობელი უნდა ერიდოს ფრაზას: «გეყოფა, ახლავე შეწყვიტე, ნუ მარცხვენ!».

ბავშვს ტანტრუმი ხშირად ემართება თამაშის დროს, როცა მაგალითად, ფაზლს სწორად ვერ ააწყობს ან კუბიკებისგან აშენებული «სასახლე» დაენგრევა. ამ დროს შესაძლოა იყვიროს, იტიროს, სათამაშოები მიმოფანტოს. ამ დროს მშობელი ბავშვს ეუბნება, კიდევ სცადოს, რომ ასეთ წვრილმანზე ტირილი არ ღირს, ეს კი უფრო მეტად აღიზიანებს პატარას.

უმჯობესია, მშობელმა ბავშვს განუმარტოს სიტუაცია, დაარქვას მოვლენებს თავისი სახელი, აღწეროს, რამ გამოიწვია ბავშვის გაღიზიანება: «გინდოდა, სწორი ხაზი გაგევლო, მაგრამ არ გამოგივიდა?», «ბოლო კუბიკი სახურავად გამოდგებოდა სასახლეზე, მაგრამ შენობა ჩამოინგრა?», «რა ლამაზი სურათი ააწყვე ფაზლებით, მხოლოდ ზოგიერთ დეტალს სწორად ვერ მიაგენი და გული დაგწყდა?»... ამით მშობელი ბავშვს ეუბნება, რომ მისი ესმის, აჩვენებს, რომ ტირილის მიზეზი ნამდვილად არსებობს. ასეთი მიდგომა ბავშვს ამშვიდებს, აღარ სჭირდება ტირილით და ფეხების ბაკუნით გამოხატვა იმისა, რასაც გრძნობს.

მშობლებმა პირად მაგალითზე უნდა აჩვენონ პატარას, რომ უსიამოვნო ემოციები დროდადრო ყველა ადამიანს ეუფლება, რომ ეს ნორმალურია. მთავარია მათი სწორად გამოხატვა და მათთან ჯანსაღად გამკლავება. უგულებელყოფაც და ჩახშობაც შეცდომაა, რადგან ადრე თუ გვიან ეს ემოციები მაინც ამოხეთქავს და ბავშვი სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდება მათთვის. ნუ აფიქრებინებთ პატარას, რომ მას უნდა ჰქონდეს ემოციების ჩართვა-გამორთვის ფუნქცია - ეს არაჯანსაღი და შეუძლებელიცაა, მით უმეტეს, მცირე ასაკში. თუ ბავშვმა იფიქრა, რომ მშობელი მის გრძნობებს აბსურდულად მიიჩნევს მაშინ, როდესაც მისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, ის ჩაიკეტება, მომავალში მოერიდება მშობლისთვის გრძნობების გაზიარებას და ეს მძიმე შედეგამდეც კი შეიძლება მივიდეს. ამიტომ ბავშვს კი არ უნდა ვაიძულოთ გრძნობების დახშობა, არამედ ემოციებთან გამკლავება უნდა ვასწავლოთ. ასევე, ერიდეთ ე. წ. უწყინარ ტყუილს ბავშვთან. მაგალითად, რომ პლანშეტი გაფუჭდა, როდესაც უბრალოდ, არ გსურთ მეტი დრო გაატაროს ეკრანთან. იმ წუთში შეიძლება პატარის ტანტრუმი შეაჩეროთ, მაგრამ შემდგომში ბავშვი მიხვდება, რომ ასე სწრაფად არ ფუჭდება და კეთდება პლანშეტი და რომ თქვენ მას უბრალოდ ატყუებთ. ამიტომ მომავალში მშობლის სიტყვებს მუდამ ეჭვქვეშ დააყენებს. გულახდილობა კი საუკეთესო ფორმაა ბავშვთან ურთიერთობის - აუხსენით პატარას, რატომ აღარ შეიძლება პლანშეტის გამოყენება მისთვის ხანგრძლივად. უთხარით, რომ ხვალ ისევ დართავთ ნებას, დაუწესეთ დროის ლიმიტი, მაგრამ არამც და არამც არ მოატყუოთ.

ტანტრუმის დროს ნუ მიიღებთ სევდიან სახეს და ნუ ეტყვით ბავშვს, რომ გულს გტკენთ, ნუ მოაჩვენებთ, თითქოს ტირით, რადგან ბავშვს პასუხისმგებლობის გრძნობა არ უნდა დააკისროთ თქვენს ემოციებზე. თუ ბავშვმა ყოველი ნაბიჯის გადადგმამდე იმაზე დაიწყო ფიქრი, რა რეაქცია ექნება ამაზე დედას, ხომ არ ეწყინება, ხომ არ გაბრაზდება - აფორიაქდება და თქვენი სევდიანი სახის ყოველი დანახვისას მიზეზის ძებნას საკუთარ თავში დაიწყებს.

ტანტრუმის დროს ბავშვმა შეიძლება გვიყვიროს, რომ აღარ ვუყვარვართ, რომ ცუდი მშობლები ვართ. ამ დროს პატარას მორალის კითხვა არ უნდა დავუწყოთ, ის ხომ აფექტურ მდგომარეობაშია. ზრდილობა უნდა ვასწავლოთ პატარას, მაგრამ არა - ტანტრუმის დროს, მაშინ მაინც ვერ გაიგებს მშობლის შეგონებებს. აცადეთ დამშვიდდეს, მერე კი აუხსენით, რომ გრძნოებების ასე გამოხატვა არასწორია...

არასოდეს მიმართოთ სარკაზმს პატარასთან - ის ამას ვერ გაიგებს. როცა ცუდად იქცევა და დედა ეუბნება: «ყოჩაღ, რა კარგად იქცევი!» ბავშვი იბნევა, რადგან ხვდება, რომ დედის ტონი და გამომეტყველება მისი სიტყვების შინაარსს არ შეესაბამება. ამ დროს ბავშვი შეიძლება დაკომპლექსდეს, ეგონოს, რომ მშობელი დასცინის.

ტანტრუმის დროს ძნელია ამ ყველაფრის გათვალისწინება, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, მაგრამ შვილის სიყვარული შეგვაძლებინებს შეუძლებელსაც კი.

# „რუსული ტურისტული კომპანიები ახლა უკვე კონკურენციას გვიწევენ“

რადიო „პალიტრასა“ და „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „საქმე“ კომპანია „ტრეფიკ თრეველის“ მმართველმა პარტნიორმა ცოტნე ჯაფარიძემ განაცხადა, რომ ტურისტების გაზრდილ სტატისტიკაში, რეალურ ტურიზმზე მეტი, ოკუპანტი ქვეყნიდან შემოსული მოქალაქეების წილია, რომლებსაც ტურისტულ მიზნებთან საერთო არაფერი აქვთ.



„ზარ-ზეიმით გვაცნობეს, თითქოს 65%-ით აღდგა ტურიზმი. ეს რიცხვებით მანიპულირებაა. რეალურად, ამ რიცხვებში ყველაზე დიდი ნაწილი უკავიათ რუსეთის მოქალაქეებს, რომლებიც ტურისტები არ არიან. არიან ადამიანები, რომლებიც 24 თებერვლის შემდეგ სანქციებს და დისკომფორტს გამოექცნენ, რადგან ვერ მიიღებდნენ სერვისებს გლობალური კომპანიებიდან. მათ დაიწყეს ბიზნესის გახსნა საქართველოში. ყველა უბანში, სადაც უნდა მიხვიდეთ, აღმოაჩენთ რუსულ კაფეს, ბარს, სუპერმარკეტს, სალონს... და ეს ხდება აბსოლუტურად ყველა უბანში - დაწყებული ვაკიდან, სადაც მაღალბიუჯეტიანი ოკუპანტები არიან ჩამოსული, ასევე გარეუბნებში და საქართველოს სხვა ქალაქებში. ასე რომ, ისინი, ცხადია, ზრდიან სტატისტიკას.

ისინი არ მონაწილეობენ ტურიზმში. მეტიც, გაჩნდნენ კომპანიები, რომლებიც რუსულად არეკლამებენ თავიანთ მომსახურებას. რამდენადაც საოცარი უნდა იყოს, რუსული ტურისტული კომპანიები ახლა უკვე კონკურენციას გვიწევენ - საქართველოდან ტურებს მთავაზობენ ეგვიპტეში. ზოგადად, კონკურენციაში ცუდი არაფერია. პირიქით, მივესალმები კიდეც, რაც დიდი იქნება კონკურენცია, უფრო მაღალი იქნება ხარისხი. პრობლემა ისაა, რომ ოკუპანტი ქვეყნის მოქალაქეებს არ შეიძლება ჰქონდეთ ბიზნესის გახსნისა და ოპერირების უფლება. მობრძანდნენ 1-თვიანი ვიზით, დაათვალიერონ ქვეყანა, დახარჯონ ფული და დაბრუნდნენ უკან“, - განაცხადა ცოტნე ჯაფარიძემ.

ამირან გურიელიძე

# ვაშლის მოსავალი - რეკორდული, ექსპორტი - მინიმალური

EastFruit-ის ინფორმაციით, თუ შარშან მოსავალი 90 ათას ტონას შეადგენდა, წელს ეს მაჩვენებელი 130 ათას ტონამდეა გაზრდილი, მაგრამ საგარეო ვაჭრობის მაჩვენებელი იმაზე დაბალია, ვიდრე ადგილობრივ მწარმოებლებს სურთ. კარგი ის არის, რომ ექსპორტი თვიდან თვემდე მატულობს: ოქტომბერში წინა თვეზე მაღალი ექსპორტი დაფიქსირდა და ეს ტენდენცია მომავალ თვესაც შენარჩუნდა - ამა წლის ნოემბერში საქართველოდან 1,4 ათასი ტონა ვაშლი გავიდა, რაც 65%-ით მეტია წინა თვეზე. ძირითადი იმპორტიორი ქვეყანა რუსეთია. და მაინც... წლევანდელ სეზონზე ექსპორტის მოცულობა 12%-ით ნაკლებია, ვიდრე წინა სეზონზე და 55%-ით ნაკლები, ვიდრე რეკორდულ 2020 წელს.

საინტერესოა: სეზონის პირველ სამ თვეში ექსპორტზე მოსავლის 2% გავიდა. წინა ორი წლის ანალოგიური მაჩვენებელი 4% და 6% იყო. მოსავლის ჯამური საექსპორტო პოტენციალი 40-50 ათასი ტონით არის შეფასებული.

ამირან გურიელიძე

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს
«გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება -
შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000,
ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა
გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 14/12/22, 21 40 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# პროექტი – დამწყები რეჟისორების, მსახიობების, სცენარისტების მხარდასაჭერად

ნანა აბულაძე 577 20 35 90

*„მოკლემეტრაჟიანი ფილმების ლაბორატორია“ კონკურსის „შენი იდეა ბათუმს“ ერთ-ერთი გამარჯვებული პროექტია, რომლის ფარგლებში სამი მოკლემეტრაჟიანი ფილმი: „დაბადება“ (რეჟისორი - ანა იოსავა), „გადახდის ბოლო დღე“ (რეჟისორი - მევლუდ საბაშვილი), „მონიკა“ (რეჟისორი - ლენა ჭაღალიძე) გადაიღეს*

აღსანიშნავია, რომ „ბათუმის მოკლემეტრაჟიანი ფილმების ლაბორატორია“ პირველი დამოუკიდებელი კინოკომპანიაა, რომელიც რეგიონში კინოხელოვნების განვითარებას, ასევე დამწყები რეჟისორების წარმოჩენასა და მათი შემოქმედების მხარდაჭერას უწყობს ხელს. პროექტის ავტორისა და ხელმძღვანელის, აღნიშნული ფილმების პროდიუსერ ოთარ ქათამაძის თქმით, თავიდანვე მათი ამბიცია იყო საქართველოში ალტერნატიული კომპანიის შექმნა, სადაც ახალგაზრდა ხელოვანებს - რეჟისორებს, სცენარისტებს ექნებოდათ კონკურსში მონაწილეობის, გამარჯვებულ ავტორებს კი ფილმების გადაღების შესაძლებლობა.




- გამოვაცხადეთ კონკურსი, რომლის ფარგლებშიც არაერთი კინოსცენარი მივიღეთ, მათგან ჟიურიმ სამი გამარჯვებული გამოავლინა. სამივე რეჟისორი ბათუმელია, რაც ძალიან მახარებს. მეტად დატვირთული ნოემბერი გვქონდა, ფაქტობრივად, უკიდურესად მცირე დროში გადავიღეთ სამი ფილმი, რაც მართლა წარმოუდგენელია. ფილმების გადაღება მიმდინარეობდა გობრონეთში, სახალვაშოში, ბათუმში, რაც, დამეთანხმებით, დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული, მაგრამ გავუმკლავდით და ბედნიერი ვარ. ერთადერთი, რაც მთავარ მოთხოვნად გვქონდა პროექტში, იყო ის, რომ ფილმები აჭარის ტერიტორიაზე უნდა გადაღებულიყო და ქრონომეტრაჟი არ უნდა აცდენოდა 20 წუთს, სხვა ყველაფერში თავისუფლება ჰქონდათ რეჟისორებს. მინდა, პროექტის მიზანზე გესაუბროთ. პირველი არის ის, რომ ბათუმი ყოველთვის იყო კინოს ქალაქი - ძალიან საინტერესო და ხელსაყრელი გადასაღებად, შესაბამისად, მინდა, ეს ტრადიცია გაგრძელდეს და ბათუმში გადაიღონ ბევრი ფილმი, რაც ჩვენი ქალაქის პოპულარიზაციას ნიშნავს. რაც შეეხება უფრო გრძელვადიან და მნიშვნელოვან მიზანს - გვინდა, გამოვავლინოთ ახალი რეჟისორები არა მარტო რეგიონში, არამედ მთელ საქართველოში და ახალგაზრდა, დამწყებ რეჟისორებს მივცეთ მოკლემეტრაჟიანი ფილმების შექმნის საშუალება. ფილმების წარმოება დიდ ფინანსებთან არის დაკავშირებული და ძალიან ბევრი ახალგაზრდა რეჟისორის პროფესია ეწირება ამ უსამართლობას. მათ არ ეძლევათ ჩანაფიქრების განხორციელების, საავტორო ფილმების გადაღების საშუალება. სწორედ ჩვენ ვაძლევთ მათ ამის შესაძლებლობას. ლაბორატორია იმისთვის ჰქვია პროექტს, რომ გვინდა, მასში მუდმივად დუღდეს შემოქმედებითი პროცესი. იმედი მაქვს, გაისადაც გაგრძელდება პროექტის დაფინანსება, რადგანაც ძალიან კარგ შედეგებზე გავედით უკვე. ეს არის პროფესიონალი ადამიანების მიერ პროფესიონალური აპარატურით გადაღებული საავტორო ფილმები და მერწმუნეთ, რეჟისორებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი განაცხადია, რომლის მეშვეობითაც მომავალში შეუძლიათ სრულმეტრაჟიანი ფილმებისთვის დაფინანსების მიღება, ფილმების საერთაშორისო ფესტივალებზე წარდგენა. აღნიშნულ ფილმებზე მუშაობამ აჩვენა, რომ საზოგადოებას ძალიან უყვარს კინო. შეიძლება ითქვას, სოფლებში, სადაც მიმდინარეობდა გადაღება, მოსახლეობა მთელი ეს პერიოდი ჩვენი ცხოვრებით ცხოვრობდა, ერთგვარი ზეიმი იყო ეს მათთვის. მინდა, მადლობა გადავუხადო თითოეულ ადამიანს, ვინც თუნდაც მცირედი წვლილი შეიტანა აღნიშნული პროექტის განხორციელებაში. როცა ადამიანი გადაღების პროცესში გვერდში გიდგას, მერწმუნეთ, ეს უდიდესი მხარდაჭერა და ბედნიერებაა, - განაცხადა ოთარ ქათამაძემ.

„გადახდის ბოლო დღე“ - ასე ჰქვია მევლუდ საბაშვილის რეჟისორობით გადაღებულ ფილმს, რომელიც გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის განცდებსა და ემოციებზე გვიყვება. ფილმის მთავარ გმირს ჰგონია, რომ ყველა პრობლემა, რომელიც სამყაროში არსებობს, მხოლოდ მის ცხოვრებაში ხდება, თუმცა აღმოჩნდება, რომ იგივეს განიცდის მისი კლასელიც, რომელსაც წლების შემდეგ თანაკლასელთა შეკრებაზე დასადები თანხაც კლასელებმა დაუდეს. მას არც ის დაუმალავს, რომ ნათხოვარი შარვალი და პიჯაკი აცვია და სულაც არ არის სირცხვილი, აღიარო პრობლემა, რომლის გადაჭრაშიც შესაძლოა, უანგაროდ დაგეხმარონ ადამიანები, რომ უფულობა სულაც არ ნიშნავს, ვინმეზე ნაკლები ადამიანი ხარ.

რეჟისორმა ფილმის გადაღების პროცესზე ისაუბრა.

- პატარაობიდანვე, როცა ფილმებს ვუყურებდი, ვოცნებობდი, მეც მქონოდა ფილმის გადაღების შესაძლებლობა. თითქოს მაშინვე ვგრძნობდი, რომ ეს იქნებოდა საქმიანობა, რაშიც მთელ ჩემს ენერგიასა და ძალას ჩავდებდი, მეყვარებოდა და მზად ვიქნებოდი, მთელი ცხოვრება დამეთმო მისთვის. აღნიშნულმა პროექტმა მომცა შესაძლებლობა, კიდევ უფრო წინ წავიწიო, გავიზარდო როგორც პროფესიონალი, რისთვისაც მადლობას ვუხდი პროექტის ავტორს, მსახიობებს, ყველა იმ ადამიანს, რომელთა მეშვეობითაც ვარ იქ, სადაც აუცილებლად უნდა ვიყო. ფილმში მინდოდა ამესახა, როგორ მოქმედებს ადამიანზე თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნა - იყოს უფრო მეტი, ვიდრე არის და მეტად წარმოაჩინოს თავი. სოციალურმა ქსელებმა მოიტანა ადამიანებში იმის განცდა, რომ სხვებს იმაზე მეტად კარგი ცხოვრება აქვთ, ვიდრე შენ, არადა, შესაძლოა, ასე ჩანდეს ზედაპირულად, მაგრამ არანაკლები პრობლემა ჰქონდეს თუნდაც იმას, ვის ცხოვრებასაც შენი შეადარე, - გვითხრა მევლუდ საბაშვილმა.

# უფასო სანახაობა – ყველასთვის

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

*მეოთხე წელია, ბათუმის მერია ავლენს პროექტის - „შენი იდეა ბათუმს“ გამარჯვებულებს და მეორე წელია, მასში ბათუმელი სოფო თოქმაჯიშვილი იმარჯვებს*

მისი პირველი გამარჯვებული პროექტი იყო „მობილური კინოთეატრი“, რომელიც შარშან დეკემბერში განხორციელდა. პროექტი გულისხმობდა ახალი ქართული, ასევე კლასიკური ფილმების ჩვენებას, დისკუსიას, კინოს ყურების კულტურის დანერგვას ახალგაზრდებში. პროექტი საკმაოდ წარმატებულად განხორციელდა. რაც შეეხება წლევანდელ გამარჯვებულ პროექტს - „პერპეტუუმ მობილე - თეატრი ყველასთვის“, იგი 3-დან 20 დეკემბრის ჩათვლით გაიმართება. როგორც პროექტის ავტორმა გვითხრა, სახელწოდება ნიშნავს ულევ ენერგიას და მონაწილეებიც სულ მოძრაობაში არიან - დადიან ქალაქის სკვერებში, ბაღებში, ისეთ ადგილებში, სადაც სანახაობრიობის ნაკლებობაა. არაერთხელ აითვისეს ქალაქის ცენტრალური უბნებიც - იყვნენ გორგილაძის ქუჩის სკვერში. წლევანდელი პროექტი ითვალისწინებს თეატრალურ მსვლელობას ბათუმის ქუჩებში, სკვერებსა და ეზოებში. ეს არის უფასო სანახაობა, რომელშიც მონაწილეობენ სამოყვარულო და სტუდენტური თეატრალური დასები - თოჯინების თეატრი, მარიონეტების დასი, სტუდენტური დასი, ორი სკოლის დასი, თითების, ჩრდილების თეატრები... საბავშვო სტუდია „ლიმპოპო“ მუსიკალურად აფორმებს ამ სანახაობებს, განწყობას ქმნის. ასე იყო ვაჟა-ფშაველას ქუჩის №105/107 და ბესიკის №49/51 მრავალსართულიანი სახლების სკვერებიც. ერთ დღეს „პერპეტუუმ მობილემ“ ჯავახიშვილის ქუჩის მცხოვრები ბავშვებიც გაამხიარულა.

- ყველგან სიხარულით ესწრებიან, მაგრამ გამორჩეულად ბევრი ბავშვი მოვიდა ადლიის შემოერთებულ ტერიტორიაზე. ინტერაქციულია ეს შეხვედრები, ბავშვებს თოჯინებთან თამაშის საშუალება ეძლევათ. სწორედ ასე იყო პროექტი ჩაფიქრებული, ის უნდა ყოფილიყო სოციალური, სადაც მეტი ხელმისაწვდომობა იქნებოდა ბავშვებისა და მოზარდებისთვის, რადგან მართლა არსებობს ქალაქში იმის პრობლემა, რომ მშობლები ვერ ახერხებენ ბავშვების წაყვანას ამა თუ იმ სანახაობაზე. ზოგი ისე ხდება სრულწლოვანი, რომ თოჯინების თეატრში საერთოდ არ არის ნამყოფი. ვფიქრობთ, - „პერპეტუუმ მობილე - თეატრი ყველასთვის“ ძალიან მოეწონათ ბავშვებსაც და უფროსებსაც, - გვითხრა სოფიკო თოქმაჯიშვილმა.

- დღეს ძალიან ვისიამოვნე მეც და ჩემმა მეგობრებმაც. გვინდა, ჩვენს ეზოში ხშირად ეწყობოდეს ასეთი სანახაობები, - თქვა პატარა მაყურებელმა გიორგი სირაძემ.



# თუ ოცნებას მიზნად აქცევ, ყველაფერი გამოგივა

*რატი წითელაძის ისტორია იმის დასტურია, რომ ერთი შეხედვით მიუღწეველი ოცნებაც კი ასრულდება, თუ ამისთვის ყველაფერს გააკეთებ*

ყველას გვახსოვს, რომ აჭარის ერთ პატარა სოფელში დაბადებული ეს უბრალო ბიჭი ერთ მშვენიერ დღეს წარმატებულ სპორტსმენად, მსახიობად და კინორეჟისორად იქცა, მისი სახელი გასცდა საქართველოს საზღვრებს, შორეულ ამერიკასაც მისწვდა და მთელ მსოფლიოში გავრცელდა. ახლახან კი რატის ამერიკის შეერთებულ შტატებში „ექსტრაორდინარი მწვანე ბარათი“ მიანიჭეს.



დღეს რატი წითელაძე არის პოპულარული მსახიობი, ევროპული კინოაკადემიის ნომინანტი კინორეჟისორი და მსოფლიოს ჩემპიონი საბრძოლო ხელოვნებაში.

რატის ფილმები ნაჩვენებია 400-მდე საერთაშორისო კინოფესტივალზე, მოპოვებული აქვს 50-ზე მეტი საერთაშორისო ჯილდო, მათ შორის „ოსკარი“ (Oscars, The Academy Awards), საკვალიფიკაციო პრიზები და ევროპული კინოაკადემიის ნომინაცია (European Film Academy Awards). რატის ნამუშევრები შერჩეული იყო სხვადასხვა პრესტიჟულ კინოფესტივალსა და პლატფორმაზე, მათ შორის ბერლინალეზე, კანში, ტორონტოში. მან მოიპოვა ჯილდო Eurimages, ასევე სპეციალური აღნიშვნა ლოკარნოში და პირველი დამოუკიდებელი ჯილდო ჰოლივუდის უცხოური პრესის ასოციაციისა HFPA, აგრეთვე „ოქროს გლობუსის“ პრიზი.

„უზომოდ ბედნიერი ვარ! ამერიკამ „ექსტრაორდინარი მწვანე ბარათი“ მომანიჭა არაჩვეულებრივი შესაძლებლობებისა და საერთაშორისო მიღწევებისთვის! დავიბადე აჭარის ძალიან პატარა სოფელ ნაკირნათევში, სადაც მხოლოდ ათამდე ოჯახი ცხოვრობს. ბავშვობას ვატარებდი დედაჩემის სოფელ მარადიდში, ხოლო გავიზარდე ულამაზეს ბათუმში, არდაგანის უბანში.

პატარაობიდან ყოველთვის ვოცნებობდი ამერიკაში, ჰოლივუდში წასვლაზე... ბევრი დამცინოდა, მაგრამ ვინც მართლა მიცნობდა, სჯეროდა, რომ დაუღალავი შრომით ყველაფერს მივაღწევდი.

მიუხედავად უფულობისა და შიმშილიანი ღამეებისა, ჩემმა მშობლებმა ყველაფერი გაიღეს ჩემი მომავლისთვის. მათ მომცეს ის, რაც თავად არ ჰქონდათ, ისინი ჩემი გმირები არიან!

პირველი დიდი ნაბიჯი იყო თბილისში ჩამოსვლა. ასეთი დიდი ქალაქი პირველად ვნახე, ყველაფერი უცხო იყო. აი, ამ მშვენიერ ქალაქში მივხდი, რომ ოცნება მიზნად უნდა ვაქციო და ყველაფერი გამომივა!

ალბათ მაშინაც ვერ წარმოვიდგენდი, რომ მსოფლიოს ჩემპიონი გავხდებოდი საბრძოლო ხელოვნებაში, ჩემს ფილმებს 400-მდე კინოფესტივალზე აჩვენებდნენ და, როგორც კინორეჟისორი, გავხდებოდი ევროპის კინოაკადემიის ნომინანტი, მივიღებდი „ოქროს გლობუსის“ ჯილდოს, ჩემს ნამუშევრებს შეარჩევდნენ კანის, ბერლინალეს, ტორონტოს და სხვა პრესტიჟულ კინოფესტივალებზე და, როგორც მსახიობი, საერთაშორისო ფილმებში ვითამაშებდი.

ეს ყველაფერი უზომოდ მახარებს და მაბედნიერებს, მაგრამ ჩემთვის ყველაზე დიდი მიღწევაა ის, რომ შევქმენი ჩემი პატარა სამყარო ოლგასთან ერთად და მყავს პატარა ანგელოზი მოციმციმე თვალებით, რომელსაც ჩემს სულსა და გულს მივცემ.

ჩემო კარგებო, გისურვებთ წარმატებას და ბედნიერებას!

აშშ ანიჭებს ამ ტიპის მწვანე ბარათს ოსკაროსნებს, ნობელიანტებს და ასევე მსოფლიო მასშტაბით გამორჩეულ, უმაღლესი დონის არტისტებსა და სპორტსმენებს მათი უნიკალური მიღწევებისთვის“, - წერს იგი თავის ფეისბუქგვერდზე.

მარი მიდასელი